# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 12 დეკემბერი 2007 №287 (3210) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ავსტრალიელის ფრანგული დრამა ინგლისელი მკვლელით

## მღუხარე უფრო ალალია: ჯორჯ გრეგანს საქართველო არ ეგონა



გია ლაბაძე და ჯორჯ გრეგანი

მისი დიდებული კარიერა თხუთმეტი წლის წინ მოკრძალებულ კლუბ სიდნეის „რანდვიკში" დაიწყო და წლიდან წლამდე ტიტულებით მდიდრდებოდა.

მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, სამი ერის ორჯერ მომგები, ზე-12-ის ორგზის გამარჯვებული, 139 მატჩი ავსტრალიის ნაკრებში და ამ მხრივ დამყარებული მსოფლიო რეკორდი!

სხვა ამის ნახევარზეც კი იტყოდა, ყველაფერი მოვიგე და კმაყოფილი მივდივარო, მაგრამ 34 წლის ჯორჯ გრეგანი არასდროს ჩერდებოდა მიღწეულზე და ახლაც ამბობს, სანაკრებო რაგბის გულდაწყვეტილი ვტოვებო.

გრეგანის ლეგენდა ახლა ფრანგულ „ტულონში" გრძელდება, იმ „ტულონში", სადაც ჩვენი გია ლაბაძე სხვა ვარსკვლავებთან ერთად ბრწყინავს და კაპიტნობს კიდეც. ლაბაძე და გრეგანი მეგობრები არიან. სწორედ ლაბაძის დახმარებით შევძელით ის, რაც აქამდე წარმოუდგენელი იყო — ჯორჯ გრეგანი „სარბიელის" რესპონდენტია.



# ლივერპულსაცია გრძელდება!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოლდოვა ჩვენზე ოდნავ უკეთესია



# დვალს დაჩია დარასელიამ გაუადვილა

შარშანწინ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა ჯაბა დვალმა არავის დაუთმო. იგი თბილისის „დინამოს" საკუთრება იყო, მაგრამ იქ მაინც ვერ დაიმკვიდრა ადგილი და „დინამომ" საჩხერის „ჩიხურაში" გაანათხოვრა. შემდეგ რუსთავის „ოლიმპში" აღმოჩნდა, თუმც უკრაინელმა მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა დანიშვნისთანავე ტრანსფერზე დააყენა. დვალი უგუნდოდ დიდხანს არ დარჩენილა და მოლდოვურ „დაჩიაში" გადავიდა. ახლა ჯაბა თბილისშია და ჩვენც გუშინ გავესაუბრეთ...

— მოლდოვიდან ნოემბრის ბოლოს ჩამოვედი. იქ პირველი წრე დასრულდა და ახლა შვებულებას შინ ვატარებ.

— „დაჩიასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმე. თავიდან რომ ჩახვედი, არ გაგიჭირდა?

— ასეც იქნებოდა, მაგრამ მალევე ვიტალი დარასელიაც შემოგვიერთდა და ამან გუნდთან შეგუება გამიადვილა.

— სასტუმროში ცხოვრობ თუ ბინა გიქირავეს?

— თავიდან სასტუმროში დავბინავდით, შემდეგ კი ბინაში გადავედით.

— გარკვეული დრო დაგჭირდა, სანამ სასტარტო შემადგენლობაში მოხვდებოდი...

— სეზონი უკვე დაწყებული იყო და თავიდან შეცვლაზე მიწვევდა თამაში, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა გუნდს შევეჩვიე, ძირითადშიც დავიმკვიდრე ადგილი და ოთხი გოლიც გავიტანე.

— პირველი წრის შემდეგ „დაჩია" მეორე ადგილზეა. გუნდის ხელმძღვანელობა კმაყოფილია?

— პრეტენზიები არ გამოუთქვამთ, პირიქით, შედეგი აკმაყოფილებთ.

— რა მიზნები გაქვთ?

— თუ პირველობას ვერ შევძლებთ, მეორე ადგილი მაინც უნდა შევინარჩუნოთ.

— იქ ჩვენს ჩემპიონატზე უკეთესი დონეა?

— ალბათ, ოდნავ უკეთესი ჩემპიონატი აქვთ.

— მოლდოვაში რამდენად განვითარებულია საფეხბურთო ინფრასტრუქტურა?

— კარგი მოედნები აქვთ, რამდენიმე კეთილმოწყობილი ბაზაც არის და გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში.

— და რამდენად უყვართ ფეხბურთი?

— ვერ ვიტყვი, რომ გიჟდებიან, მაგრამ როცა კონკურენტებს ვეთამაშებით, 4-5 ათასი კაცი მოდის სტადიონზე.

— შვებულება როდის გიმთავრდება?

— ამ თვის ბოლოს უნდა წავიდე. პირველ შეკრება იანვარში გვაქვს, მეორე — თებერვალში და ორივეს ანთალიაში გავივლით, მარტში კი ჩემპიონატი განახლდება.

— რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „დაჩიას" ყიდვა ცნობილ მსახიობს სტივენ სიგალს სურს...

— მეც მოვკარი ყური ამ ამბავს, მაგრამ კონკრეტულად არაფერი ვიცი.

**ნუკრი ლოლაძე**

# უეფამ გოგონებს მეტოქენი შეურჩია

**უეფამ** 17 და 19-წლამდელთა გოგონათა ევრო 2009-ის შესარჩევი ეტაპების წილისყრა ჩაატარა და ამგვარად, ჩვენი ნაკრებების მეტოქეებიც გაირკვნენ.

ქართველ 19-წლამდელ გოგონათა ნაკრები მე-9 ჯგუფში მოხვდა საფრანგეთთან, ბელგიასთან და მაკედონიასთან ერთად.

შესარჩევი ტურნირი მაკედონიაში გაისად, 25-28 სექტემბერს გაიმართება.

რაც შეეხებათ 17-წლამდელ გოგონებს: მათი მეტოქეები პირველ ჯგუფში იქნებიან ბელგია, დანია და ყაზახეთი.

ჯგუფის მატჩები ბელგიაში ჩატარდება.

**ქახა ზალამბერიძე**

36 ქულა, 39 შესაძლებლიდან — ეს თბილისის „დინამოს" საპირველწრეო მონაგარია. ჩემპიონატის ნახევარი გუნდმა ლიდერად ჩაამთავრა და ახლა ისვენებს. გაზაფხულიდან რა და როგორ იქნება, აბა, როგორ ვთქვათ, თუმც კი ᲓᲣᲨᲐᲜ ᲣᲞᲠᲘᲜᲘᲡ გუნდმა ისევე თუ ითამაშა, როგორც შემოდგომაზე, ვეჭვობთ, „დინამოს" ვინმემ გადაუსწროს...

თბილისელებმა ჩემპიონატის პირველ წრეში მართლაც შთამბეჭდავად ითამაშეს და, ცხადია, ჩვენი არჩევანიც, დუშან უპრინი პირველი ნახევრის საუკეთესო მწვრთნელად რომ დავასახელეთ, ამ ფაქტმა განაპირობა და, ვფიქრობთ, ამ საქმეში ბევრიც დაგვეთანხმება. უპრინის „დინამოს" შემოდგომაზე მხოლოდ ერთხელ დაუცდა ფეხი, სხვა მატჩებში კი მეტოქეებს მართლაც უსიტყვოდ აჯობა...

ახლა დუშან უპრინი ჩეხეთშია და გუნდს ნაძალწლევს დაუბრუნდება. იქამდე კი მას შინ დავუკავშირდით და ეს ინტერვიუ ვთხოვეთ...



# დინამოს ბევრი და ცოტა

## დუშან უპრინს ცამეტიდან ერთი არ მოეწონა

— გმადლობთ ასეთი დაფასებისთვის. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ პირველი წრის საუკეთესო მწვრთნელად იმ გაზეთმა დამასახელა, რომელსაც დიდ პატივს ვცემ — გვითხრა „დინამოს" თავკაცმა — იმედი მაქვს, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგაც ასე იქნება.

— ზოგადად, პირველ წრეს როგორ შეაფასებთ, ყველაფერი ისე იყო, როგორც ფიქრობდით?

— ალბათ დამეთანხმებით, „დინამო" ჩემპიონატს დამსახურებულად ლიდერობს და კარგ ფეხბურთს თამაშობს. ჩვენ სულ სამი ქულა დავკარგეთ და სწორედ ამ ერთ მატჩს, შინ „ვიტ ჯორჯიასთან" თამაშს თუ არ ჩავთვლით, ჩვენი გუნდი მართლაც ჩინებულად გამოიყურებოდა. ერთიორად სასიამოვნოა ის, რომ „დინამომ" „ამერთან" და „ზესტაფონთან" მოგებულ მატჩებში მაღალი დონის ფეხბურთი აჩვენა და პრინციპული მეტოქეები ისე დაამარცხა, მათ შანსი არ დაუტოვა. ჩემი შეგირდებისგან შემტევ და აგრესიულ თამაშს მოვითხოვ და ფეხბურთელების მადლობელი ვარ, დავალება კარგად რომ შეასრულეს. „დინამომ" საპირველადგილო შედეგთან ერთად ლამაზი და მიმზიდველი თამაში აჩვენა და ეს კიდევ უფრო მახარებს.

— ერთი პერიოდი „დინამოს" ლიდერობა დაკარგული ჰქონდა...

— თუმცა პირველობა სწორედ უშუალო კონკურენტთან მოგებით დავიბრუნეთ და ამიტომაც ვამბობ, რომ „დინამო" დამსახურებულად არის ცხრილის თავში. ლიდერობა კი, კარგად გეხსომებათ, იმ ერთი წაგებული მატჩის შემდეგ დავთმეთ. „ვიტ ჯორჯიასთან" „დინამომ" ისე ნამდვილად ვერ ითამაშა, როგორც იქამდე ან მის მერე... ჩვენ 13 მატჩიდან მხოლოდ ერთი ჩავაგდეთ და ლაქად ეს თუ დაგვრჩა, თორემ სხვა მატჩებით მართლაც კმაყოფილი ვარ. ერთი თამაში კი გაცილებით უფრო დიდ და სახელოვან გუნდებსაც არ გამოსდით.

— სადღეისოდ „დინამოს" ყველაზე მეტად რომელ პოზიციაზე უჭირს?

— ვერ გეტყვით, ცხადია, უკეთესად სათამაშოდ ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო და ვეცდებით, ნაკლი ნელ-ნელა გამოვასწოროთ. ახლა კი მხოლოდ ერთს გეტყვით, „დინამო" ყველა რგოლში მეტ-ნაკლებად დაბალანსებული გუნდია. ყველაზე ცოტა, ოთხი გოლი მივიღეთ და ყველაზე მეტი, 35 სწორედ ჩვენ გავიტანეთ. „დინამოს" ბევრი გოლი გააქვს და ცოტას უშვებს, ფეხბურთშიც ხომ მთავარი ესაა. თანაც გავიმეორებ, ჩვენ ლამაზ და სანახაობრივ ფეხბურთს ვთამაშობთ.

— შეგირდებიდან ვის გამოარჩევთ? ყველამ შესაძლებლობების მაქსიმუმით ითამაშა?

— დაკონკრეტებას მოვერიდები, თუმცა გეტყვით, რომ რამდენიმე ფეხბურთელისგან უფრო მეტს ველოდი. არა უშავს, ახლა მოსამზადებელი პერიოდი გვექნება და ამ ბიჭებსაც მიეცემათ საშუალება, რომ თავიანთი საქმე გამოასწორონ და მეორე წრეში ისეთი ფეხბურთი ითამაშონ, როგორსაც მათგან ველი. ისე არ მინდა გამოვიდეს, რომ მხოლოდ იმ ფეხბურთელებზე ვლაპარაკობ, რომლებმაც, ასე ვთქვათ, მოლოდინი ვერ გაამართლეს, „დინამოში" რამდენიმე ფეხბურთელს საგრძნობი პროგრესი აქვს და დარწმუნებული ვარ, მომავალში ისინი კიდევ უფრო მოუმატებენ. „დინამო" გუნდურ ფეხბურთს თამაშობს და ამიტომაც არ მსურს, ვინმე გამოვარჩიო.

— მოსამზადებელ პერიოდში „დინამოსგან" მნიშვნელოვან სიახლეებს ველოდოთ?

— ეს მაშინ გამოჩნდება, როცა მზადებას დავიწყებთ. დღესდღეობით კი შემიძლია გითხრათ, რომ „დინამოში", სავარაუდოდ, შოთა გრიგალაშვილი და გიორგი ნერგაძე დაბრუნდებიან. ეს ფეხბურთელები ჩვენ „ბორჯომში" გვყავდა განათხოვრებულნი და მათ საკმაოდ კარგად ითამაშეს.

— ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტად „ზესტაფონი" მიგაჩნიათ?

— არა, რას ამბობთ?! „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია", „ამერი", „ოლიმპი", იგივე „ბორჯომი"... ჩვენთვის მოდუნება დაუშვებელია და ერთი მცირე ჩავარდნაც კი შეიძლება ჩემპიონობის ფასად დაგვიჯდეს. ამიტომაც კიდევ უფრო მობილიზებულები და მონდომებულები უნდა ვიყოთ. მეორე წრეში „დინამოს" უფრო მეტი რთული თამაში ექნება. მეტოქეები მშვიდად ყოფნის საშუალებას არ მოგვცემენ.

— მზადებას როდიდან დაიწყებთ?

— ვარჯიშს 3 იანვრიდან შევუდგებით. ბაზაზე სრული შემადგენლობით შევიკრიბებით. იქამდე კი, 28 დეკემბრიდან ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან. იანვრის შუა რიცხვებში ანთალიაში წავალთ, შემდეგ დავბრუნდებით და მეორე უცხოურ შეკრებაზე ისევ ანთალიაში, თებერვალში გავემგზავრებით. ამასობაში კი, ჩემპიონატიც დაიწყება და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ, დიდი გამარჯვებების წელიწადი ყოფილიყოს ქართული ფეხბურთისთვის. ვისურვებ, რომ გაისად ქომაგი სტადიონებზე დაბრუნებულიყოს. უქომაგოდ ფეხბურთი ფეხბურთი არ არის, ისინი ფეხბურთელებს მეტ სტიმულს აძლევენ. როცა ქომაგი მრავლად არის ტრიბუნაზე, ფეხბურთიც გაცილებით ლამაზი და თვალსასეიროა. ყოველივე კარგს გისურვებთ...

**კობა ინასარიძე**



# რუმინეთს ალბათ უარი
## ფედერაცია ტოპმიოლერს ელის

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს ახალ კონტრაქტზე ჯერ არ შეთანხმებია — ტოპმიოლერს ამ კვირაში ელოდნენ თბილისში, თუმცა იგი გერმანიაში შეყოვნდა.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან *ურა უგულავას* გავესაუბრეთ...

**— კლაუს ტოპმიოლერი საქართველოში უნდა ჩამოსულიყო და რატომ გვიანდება მისი ჩამოსვლა?**

— კლაუსს ტელეფონით ვესაუბრე და მომავალ კვირაში ჩამოვა. კონტრაქტზეც მაშინ ვისაუბრებთ.

**— საქართველოს ნაკრებისთვის ახალი სპარინგ-პარტნიორი ხომ არ გამოგიძებნიათ?**

— რუმინელებმა შემოგვთავაზეს აგვისტოში ან ნოემბერში თამაში, მაგრამ იცით, რომ აგვისტოში უელსს უკვე შევუთანხმდით, ნოემბერი კი ხელს არ გვაძლევს და ალბათ, რუმინელებს უარს ვეტყვით. მოლაპარაკება გვაქვს ჩრდილოეთ ირლანდიასთანაც. გვინდა, რომ მათ თებერვალში ვეთამაშოთ, მაგრამ იქ ამ დროს სიცივეა და ზუსტად არ ვიცი, რას გადავწყვეტთ...

**ნუკრი ლოლაძე**

# რუსული ვერსია: გოცირიძე ნალჩიკში
# ქართული ვერსია: გოცირიძე ზესტაფონში

**ხვალიდან** ნალჩიკის „სპარტაკი" სასელექციო შეკრებას იწყებს თურქეთში.

იური კრასნოჟანისა და მისი სამწვრთნელო შტაბის განკარგულებაში 25-30 პოტენციური ახალწვეული იქნება. როგორც რუსული საინფორმაციო სააგენტოები გვამცნობენ, მათ შორის, „ზესტაფონისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ბექა გოცირიძეც მიიღებს მონაწილეობას.

გეხსომებათ, გოცირიძე შარშანაც ისინჯებოდა ამ გუნდში, მაგრამ მაშინ ნალჩიკელებმა მისი დატოვება გადაავადეს.

რუსები გოცირიძის ნალჩიკში გასინჯვაზე კი საუბრობენ, მაგრამ „ზესტაფონი" ამ ინფორმაციას უარყოფს.

„ეგ საუბრები ჭორის დონეზეა. „ზესტაფონიდან" გიორგი ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივს" უბრუნდება, ამიტომ გოცირიძე გუნდს სჭირდება. ის ჩვენთან ითამაშებს" — გვითხრა კლუბის სპორტულმა დირექტორმა დავით აბაშიძემ.

გოცირიძე კი დღეს ლუქსემბურგში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებს და როგორ განვითარდება მოვლენები, ამას მალე შევიტყობთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ქართული სუპერგოლები

**9 დეკემბერს** გორში საქართველოს სუპერთასის მეშვიდე გათამაშებაში ამერელმა გრიგოლ დოლიძემ ჰეთ თრიქი შეასრულა. აქამდეც აღვნიშნეთ, რომ ეს ერთადერთი ჰეთ თრიქი იყო ქართული სუპერთასის ისტორიაში.

საერთოდ, ამ 7 მატჩში 20 გოლი გავიდა და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ დოლიძემ წინა სუპერთასის ერთადერთი გოლიც გაიტანა, არ გაგიკვირდებათ, ის სუპერთასთა სუპერბომბარდირიც რომ არის.

სუპერთასზე სულ 15 ფეხბურთელს აქვს გატანილი და მათ სიას ქვემოთ გთავაზობთ:

| | |
|---|---|
| გ. დოლიძე (ამერი) | 4 |
| დ. ყიზილაშვილი (დინამო) | 2 |
| ლ. ცქიტიშვილი (დინამო) | 2 |
| ა. იაშვილი (დინამო) | 1 |
| დ. მუჯირი (დინამო) | 1 |
| კ. გოგიჩაიშვილი (დინამო) | 1 |
| კ. კალაძე (დინამო) | 1 |
| რ. ალექსიძე (დინამო) | 1 |
| შ. აფხაზავა (ბათუმი) | 1 |
| პ. მაჭუტაძე (ბათუმი) | 1 |
| თ. ტუღუში (ბათუმი) | 1 |
| კ. წიტაიშვილი (დინამო) | 1 |
| მ. ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| რ. გოცირიძე (ამერი) | 1 |
| გ. ყრუაშვილი (ოლიმპი) | 1 |



ამ სიიდან სხვა რამეც ჩანს: სუპერთასზე სულ ოთხ გუნდს აქვს გოლი გატანილი — „ამერს", თბილისის „დინამოს", „ბათუმს" და რუსთავის „ოლიმპს". ამათ გარდა კი სუპერთასზე ქუთაისის „ტორპედოს", თბილისის „ლოკომოტივს" და ბოლნისის „სიონსაც" უთამაშიათ...

ამ 20 გოლიდან კი ნახევარზე მეტი, 11 გოლი დინამოელებისაა, 5 — ამერელების, 3 — ბათუმელების და ერთიც, წინა შაბათის გატანილი ოლიმპელისა.

ჩაერთეთ 3 ლარად!

საავანსო ბალანსი 3 ლარი



ტარიფი «მეგობრები»

სატარიფო გეგმა ძალაშია 31.01.2008 - მდე

დაგვიკავშირდით
ქალაქის ქსელიდან: 20 0611
მობილურიდან: 0611

www.beeline.ge

ბილაინი

# რონინას გოლი



იმ დღეს, როცა გორში საქართველოს სუპერთასისთვის „ამერი" და „ოლიმპი" იბრძოდნენ, როინ მარღიშვილი დაკრძალეს. მეორე ტაიმი რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, პროცესიამ სტადიონს რომ ჩაუარა და წამით შეჩერდა...

...ერთი კვირაც და, გარეთ იყო... ალბათ ერთი სული ჰქონდა, როდის შეიკრიბებოდნენ „დილას" ვეტერანები. იქვე, გორის „ცენტრალურის" გადაღმა, მარეხასთან, ჩეკასთან, ბალასთან, ვანოსთან, შალასთან და სხვებთანაც ბურთს როდის გააგორებდა...

როინ მარღიშვილმა ფეხბურთი ბოლოს ციხის პატარა მოედანზე ითამაშა. და ციხეშივე გაასრულა თავისი მოკლე წუთისოფელი, დამტევი ბევრი სიხარულ-წუხილიანი ამბისა.

ტანად მომცრო იყო, ვერცხლისწყალივით მოძრავი, კარგი დრიბლიორი და საგოლე პასების დამხლართავი. მარღიშვილს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში მჟღერი სახელი არასდროს ჰქონია. ის გორელების ფეხბურთელი იყო, მშობლიურ სტადიონზე პატარა სასწაულების მოხდენა ძალუძდა.

ფეხბურთი სხვა საქართველოშიც უთამაშია, ლიხს იქითაც და ლიხს აქეთაც, „ტორპედოში", „მარგვეთში", „გურიაში", „ივერიაში", „ცხინვალში" და „ლოკომოტივში", ყველგან მოთამაშე იყო, მწვრთნელებისთვის მუდამ სასურველი ფეხბურთელი. ყველა უსიტყვოდ უცხადებდა ნდობას, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაიხსნა. მაშინდელ საქართველოში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ჩაქრა.

არადა, ისინი ლამაზ ფეხბურთს თამაშობდნენ. ასეთები დღეს ცოტანი არიან. მათ სტადიონზე ხალხის მოხიდვა არ უჭირდათ. პასი, დრიბლინგი, გახსნა, დარტყმა... ამას ყველაფერს ლაზათიანად აკეთებდნენ. ტაში და სიყვარულიც არასდროს აკლდათ.

დღეს ბევრმა არც იცის, ვინ იყო როინ მარღიშვილი, დავით ნოზაძე, კობა ხარჩილავა, ბეგი შავგულიძე, შალვა აფხაზავა... დღეს სხვა საქართველოა. ქუჩაში სეირნობის არავის ეშინია. ახლა სულ სხვა გაქანებაა. მოთხოვნებიც სულ სხვაა და არჩევანიც მეტია.

წლებია, კალამი ხელში არ მჭერია და ძველი ხელობის გახსენებას არც ვაპირებდი, მაგრამ კიდევ ერთმა ტკივილმა მიბიძგა, ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის მეთქვა, რომ როინ მარღიშვილს გუნდის ტვინს ეძახდნენ. დავით ნოზაძეს დახვეწილი მოთამაშე ერქვა. კობა ხარჩილავას თავის დროზე ქინქლაძეს უტოლებდნენ. ბეგია შავგულიძე მუდამ თავგანწირულად მობურთალი მახსოვს, ხოლო შალვა აფხაზავას ბოლო დარტყმა გამოსდიოდა უნაკლოდ.

...„დილას" მოგება ჰაერივით სჭირდება, დრო იწურება, მარღიშვილმა ბურთი მოიხელთა, ფლანგისკენ წაიღო, გზად ორი მეტოქე მოატყუა, მოულოდნელი პაუზა გააკეთა, მეტოქის მცველი მისკენ დაიძრა და კარის წინ ადგილი გათავისუფლდა. ხორგუაშვილი მეგობარს ჩანაფიქრს მიუხვდა, უზუსტესი პასი და სტადიონიც აღრიალდა...

ხორგუაშვილის ის გოლი იმ დღეს როინას გოლად მოინათლა და ვინ მოთვლის, რამდენი იყო ასეთი...

მამუკა ქვანტალიანი

# ჩაასწრებს ჯიქია რუსთავს რუსეთში?
## პისკოვეცი წავიდა, ლეგიონერები მიდიან

9 დეკემბერს საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა" „ფოლკსვაგენის" სუპერთასი თბილისის „ამერთან" დათმო (1:4).

ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ყველა კლუბი ახლა შვებულებაშია, „ოლიმპს" კი სხვა გეგმები აქვს და შვებულება ოდნავ ადრე დაუმთავრდება — რუსთაველები 19 იანვარს სანკტ პეტერბურგში „თანამეგობრობისა და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა თასის" ტურნირში ჩაერთვებიან.

„ოლიმპის" უკრაინელი მწვრთნელი ანატოლი პისკოვეცი სამშობლოში დღეს გაემგზავრება, გუნდს კი 3 იანვარს მისი თანაშემწე ვარლამ კილასონია შეკრებს.

6 იანვარს რუსთაველები მოსამზადებლად სიმფეროპოლში წავლენ, სადაც პისკოვეციც დახვდებათ. იქიდან კი სანკტ პეტერბურგში გაემგზავრებიან.

რუსთაველი გუნდი ოფიციალურად ჯერ არც ერთ ფეხბურთელს არ დაუტოვებია, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ბოდრი მასუანგას და ვლადან ჟივკოვიჩის გარდა, „ოლიმპიდან" წასვლა რევაზ ჯიქიასაც უნდა, რომელიც, შესაძლოა, მახაჩყალის „ანჟიში" გადავიდეს.

ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად გუშინ თავად ჯიქიას შევეხმიანეთ.

„ჯერ არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი, წავალ თუ არა „ანჟიში" და წინასწარ ვერაფერს გეტყვით" — მოკლედ მოგვიჭრა რევაზ ჯიქიამ.

ჩვენც რაღა დაგვრჩენია, დაველოდოთ...

ნუგზარ ლოლაძე





# პრობლემური რეისი
## დღეს საქართველო — ლუქსემბურგია

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ლუქსემბურგში „გრენგელვალდის" სტადიონზე ადგილობრივ ნაკრებს გაეჯიბრება. მატჩი ჩვენი დროით, 19 საათზე დაიწყება.

ჩვენი ნაკრები ბენილუქსში პრობლემებით ჩავიდა — პეტარ სეგრტის გუნდი ლუქსემბურგს 10 დეკემბერს უნდა სწვეოდა, თუმც კლიმატური პირობების გამო საქართველოდან გაფრენა მხოლოდ გუშინ დილით მოახერხა, სასტუმრო „ნოვოტელში" დაბინავდა და მატჩის წინ ერთი ვარჯიშის ჩატარებაღა მოასწრო.

ლუქსემბურგში შეუერთდნენ გუნდს ავსტრიული „ლუშტენაუს" ნახევარმცველი მირზა ბჟალავა და ფრანგული „ლე მანის" ახალგაზრდული გუნდის მცველი ამირან სანაია.

*მეკარეები:* რევაზ თევდორაძე („მერანი"), გიორგი ლორია („დინამო");

*მცველები:* უჩა ლობჟანიძე („ზესტაფონი"), გიორგი ნავალოვსკი („ოლიმპი"), გულვერდ თომაშვილი („დინამო"), ამირან სანაია („ლე მანი", საფრანგეთი), გიორგი ელბაქიძე („ამერი"), ზურაბ გვაძაბია („ამერი"), გიორგი ჩიხრაძე („ოლიმპი");

*ნახევარმცველები:* მირზა ბჟალავა („ლუშტენაუ", ავსტრია), გიორგი ხიდეშელი („ზესტაფონი"), შოთა გრიგალაშვილი („ბორუსია"), ირაკლი კლიმიაშვილი („ვიტ ჯორჯია"), ალექსი ბენაშვილი („ზესტაფონი"), მურთაზ დაუშვილი („ზესტაფონი"), ირაკლი შეყილაძე („ბაია");

*თავდამსხმელები:* ბექა გოცირიძე („ზესტაფონი"), სანდრო კობახიძე („დინამო"), ზაქარია ბეგლარიშვილი („ოლიმპი").

მიხეილ ჟორჟოლიანი

# კალაძეს ადრიანი იაპონია გამოარტყა



იაპონიაში მიმდინარე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე გამოსვლა უკვე დაასრულა ჯაბა მუჯირის ირანულმა „სეპაჰანმა", რომელმაც მეოთხედფინალში 1:3 წააგო იაპონურ „ურავასთან" და ნახევარფინალში ქართულ ჯახს აგვაცილა — „ურავას" ხვალ ფინალში გასასვლელად კახა კალაძის „მილანი" შეეჯიბრება.

„მილანი" რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა იაპონიაში და, ბუნებრივია, მისი ვარსკვლავები უმალ მოექცნენ საზოგადოებისა თუ ჟურნალისტთა ყურადღების ქვეშ. მათ შორის, კახა კალაძეც აღმოჩნდა: „მართალია, ტურნირში ნახევარფინალიდან ჩავებმებით, მაგრამ სულაც არ ვფიქრობ, რომ იოლი მატჩები გველის. იაპონიაში ადრიანად ჩამოვედით, რათა ყველა თამაშისთვის სერიოზულად მოვემზადოთ. ჩვენ მხოლოდ ამ ტურნირში გამარჯვებას არ ვაპირებთ, ჩემპიონთა ლიგისა და სუპერთასის მოგებაც ვგეგმავთ" — განუცხადა იაპონურ მედიას ქართველმა ფეხბურთელმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი



ბადრი კაპანაძის ფოტო

# მეორედ სიკვდილს არავინ გვაპატიებს

## ბესიკ შეროზია მთლად კმაყოფილი ვერ არის

**დასრულდა მე-19 ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე. კლუბები ზამთრის პაუზას, ცხადია, მეორე წრისთვის მოსამზადებლად გამოიყენებენ, მანამდე კი ალბათ ნამუშევარსაც შეაფასებენ. პირველ წრეში ბევრი რამ იყო საინტერესო, მათგან ერთ-ერთი კი უმაღლესი ლიგის დებიუტანტების კარგი თამაშია. თუ ახალციხის „მესხეთი" სტაბილურად თამაშობდა, ზუგდიდის „მგლებმა" კარგ სტარტს მცირე ჩავარდნა მიაყოლა... ფოთის „კოლხეთის" უმაღლესი ლიგიდან დაქვეითების შემდეგ სამეგრელოს ადგილი სწორედ „მგლებმა" დაუბრუნა. როგორ შეაფასებს თავისი გუნდის თამაშს ზუგდიდელთა მთავარი მწვრთნელი და რა სამომავლო მიზნები აქვს კლუბის ხელმძღვანელებს, ამის თაობაზე ბესიკ შეროზიას ვესაუბრეთ...**

**— პირველი წრე დასრულდა. კმაყოფილი ხართ გუნდის თამაშით და შედეგით?**

— უკმაყოფილო იმით ვარ, რომ ცოტა მეტის მიღწევაც შეიძლებოდა. სეზონი კარგად დავიწყეთ, ერთი ხანობა ხუთეულშიც ვიყავით, მაგრამ შემდეგ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი — ფარულავა, კრასოვსკი, ვართაგავა, ექონია — ერთდროულად დაგვიშავდა, ზედ სეზონის წინ რევაზ ჯიქია რუსთავის „ოლიმპში" გადავიდა. ამ ყველაფერმა გარკვეულწილად იმოქმედა — ქულების დაკარგვას სწორედ მათი ტრავმების შემდეგ მოვუხშირეთ. აქედან გამომდინარე, მთლად კმაყოფილი ვერ ვიქნები.

**— გამოდის, სათადარიგოთა სკამზე სრულფასოვანი შემცვლელი არ გყავთ?**

— ჩვენთან ახალგაზრდა, გამოუცდელი ბიჭები არიან. მთლიანად გუნდია დებიუტანტი და ბავშვებს მეტი რა მოვთხოვო?! სამეგრელოში ყოველთვის მოიძებნებოდნენ ტალანტები და მერწმუნეთ, ეს ბიჭებიც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

**— ზამთრის პაუზისას ცვლილებებს არ გეგმავთ?**

— გარკვეული ცვლილებები იქნება, თუმცა ძირითად ბირთვს შევინარჩუნებთ. ხელახლა გუნდის აშენება დროის ამბავია. ჩვენ კი არ გვინდა, ეს დრო დავკარგოთ. ნელ-ნელა უნდა ვაშენოთ კარგი გუნდი.

**— გინდათ თქვათ, რომ ხელმძღვანელობას მეორე წრისთვის ამბიციები არ მოემატება?**

— მათი დავალება პირდაპირი იყო — პირველ სეზონში უმაღლესში ადგილი შევინარჩუნოთ. ამბიციური გუნდის გაკეთებაზე მეორე წლიდან ვიფიქრებთ. ვფიქრობ, წლეულს შვიდეულში მოხვედრა კარგი შედეგი იქნება, ხოლო მომავალში გვინდა, ლიდერებს გავუწიოთ კონკურენცია.

**— კონკრეტული პროგრამა ან გეგმა თუ არის შემუშავებული?**

— რამდენიმეწლიანი გეგმაა, რომელიც ბავშვთა ფეხბურთის განვითარებით იწყება... ზუგდიდში ფეხბურთი ხელახლა დაიბადა და მისი მეორედ სიკვდილი დანაშაული იქნება.

**— მთლიანად ჩემპიონატის დონეს როგორ შეაფასებდით?**

— დაძაბულობა ცხრილის ზევითაც არის და ქვევითაც. განსაკუთრებით ეს ქვედა ნაწილს ეხება — ოთხი გუნდი ვარდება და ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს. ამ მხრივ უფრო საინტერესო გახდა ჩემპიონატი. კარგია, რომ თავის სიტყვას ამბობენ რეგიონების გუნდებიც. ათასჯერ ნათქვამს ვიტყვი — ფოთს, ზუგდიდსა და ქუთაისს უმაღლესში გუნდები უნდა ჰყავდეთ. ეს ქალაქები ქართული ფეხბურთისთვის არიან გაჩენილნი — აი, მერე ნახეთ დონის მომატება.

**— თუმცა ეს ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. ეს გუნდები ხომ ძალით არავის მოუკვეთია...**

— საქმეც ეგ არის, რომ უფინანსოდ არიან და არავინ ჰყავთ პატრონი. ისინი ძალით არ მოუკვეთიათ, მაგრამ ამით ქართული ფეხბურთის ფესვები მოიკვეთა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ისევ ბულგარეთი

## ძველი ახალი მეტოქე

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებისთვის (1992 წელს დაბადებულები) ფეხბურთის ფედერაციამ 2008 წელს კიდევ ორი ამხანაგური შეხვედრა დაიგეგმა — უკვე შეთანხმებულია, რომ 15 და 17 აპრილს ჰერბერტ ცანკერის შეგირდები ბულგარელ თანატოლებს სტუმრად გაეჯიბრებიან.

შეგახსენებთ, რომ აქამდე გადაწყვეტილი იყო კიდევ სამი ამხანაგური მატჩის გამართვა: საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები გაისად, 27-28 მაისს ორ ტესტ-თამაშს ჩაატარებს რუმინეთში, ხოლო 16 სექტემბერს ლუქსემბურგში მასპინძელ 17-წლამდელთა წინააღმდეგ ითამაშებს.

ცნობისთვის: ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის საკვალიფიკაციო ტურნირში, წლეულს, 29 სექტემბერს, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ბულგარეთს სტუმრად გაეჯიბრა და საკმაოდ იოლად სძლია — 5:2.

**კახა შალამბერიძე**



# ჯეკპოტი გათამაშდა

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პირველი წრის გადადებულ, მე-11 ტურში ჯეკპოტი გათამაშდა.

წამახალისებელი ლატარიის გამარჯვებული 6-019091 ბილეთი გახდა. „ბორჯომისა" და რუსთავის „ოლიმპის" თამაშზე დამსწრე გულშემატკივარმა 11 მატჩიდან 10-ის შედეგი გამოიცნო და 500 ლარი მოიგო.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა. 15 ტური

**30 ნოემბერი-5 დეკემბერი**

### აღმოსავლეთი ზონა

**ოლიმპი 2 1:0 ვიტ ჯორჯია 2**

1:0 სებისკვერაძე (19)

**ოლიმპი 2:** გიორგობიანი, სარაჯიშვილი, პაჭკორია, გ. ჯელაძე, გ. ჩიხრაძე, გ. იაშვილი (გურეშიძე 76), მოდებაძე, გუგუჩია (ცოცხალაშვილი 85), სებისკვერაძე, ბეგლარიშვილი (ჯაში 66), ტორონჯაძე

*სათადარიგონი: ჯანიაშვილი, გავაშელიშვილი, ლორთქიფანიძე*

მწვრთნელი: გელა გომელაური

**ვიტ ჯორჯია 2:** ღურბელეიშვილი, პირველი, კაიშაური (წულაძე 46), კასრაძე, ადამაძე, კირთაძე, მაისაშვილი, ვასაძე (იმერლიშვილი 62), გ. ჯანელიძე, ლიპარტია, ჯიქიძე (ვეკუა 76)

*სათადარიგონი: ნ. აფციაური, როსტიაშვილი, სორდია, ეზიეშვილი*

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: პაჭკორია, ვასაძე, გუგუჩია

მსაჯი: მ. მაისურაძე

**ჩიხურა 1:2 დინამო 2**

0:1 ქანთარია (30), 0:2 ნემსაძე (56), 1:2 მიქაძე (67)

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, ხურცილავა, ბარაბაძე, ზივზივაძე, დოლონაძე, ზ. ნოზაძე, როგავა, მაჭარაშვილი, მიქაძე, სტეფანიშვილი, პეტრიაშვილი (ხვედელიძე 72)

*სათადარიგონი: ი. ბრეგვაძე, მ. ნადირაძე, გულიაშვილი, ცარციძე, ვ. ზაბახიძე*

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

**დინამო 2:** გ. ლოსაბერიძე, კაჭკაჭიშვილი, ჩადუნელი, მინდორაშვილი, გუგავა, ნემსაძე, შერაზადაშვილი (მამუჩიშვილი 75), ქანთარია (დერინგი 78), ვანაძე (სიხარულიძე 89), ჯიშკარიანი, ქავთარაძე

*სათადარიგო: არავინ*

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: ლოსაბერიძე, ვანაძე, ჩადუნელი, ქავთარაძე, ზივზივაძე, მამუჩიშვილი, ხვედელიძე

მსაჯი: კ. ჭაჭუა

**ნ. დინამო-მერანი 1:6 გაგრა**

0:1 ძაგანია (23), 0:2, 0:3 კორიფაძე (35, 41), 0:4, 0:5 სუხიშვილი (65, 80), 1:5 კამლაძე (84), 1:6 სუხიშვილი (87)

**ნ. დინამო-მერანი:** ს. შენგელია, ა. კალაძე (დ. კაკულია 60), ქოქიაშვილი (ქემუხტაშვილი 46), ხუჭუა, ტოსტიაშვილი (მგალობლიშვილი 70), ლონიშვილი, ჯიშიაშვილი, ზ. ხიზანიშვილი, გოგოლაძე, ცნობილაძე, ზ. ლობჟანიძე

*სათადარიგონი: ბოკუჩავა, ნ. უგრეხელიძე, ჩაკვეტაძე*

მწვრთნელი: ოთარ შენგელია

**გაგრა:** ხომერიკი, ქაჯაია (ხელაძე 36), ქვრივიშვილი, კვანტალიანი, თოთაძე (თ. მეტრეველი 46), ტეტუნაშვილი, ჩარგეიშვილი, შარიქაძე, ზ. დათუნაშვილი, კორიფაძე (სუხიშვილი 55), ზ. ძაგანია

*სათადარიგონი: ა. ჩომახიძე, აბაშიძე, გ. აფციაური, ბ. ჭიჭიანი*

მწვრთნელი: გია ჭიაბრიშვილი

გაფრთხილება: თოთაძე, ცნობილაძე, ჩაკვეტაძე

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

**კახეთი 4:1 ოლიმპიკი**

1:0 ლ. ტეტიაშვილი (5), 2:0 რ. ტეტიაშვილი (23), 3:0, 4:0 ბურდული (43, 72), 4:1 ლევინიაშვილი (88)

**კახეთი:** ჯიქურიშვილი, ლომიძე, ტარულაშვილი (ახალბედაშვილი 79), ბედოიძე, მურველაშვილი, კუპრაშვილი, დ. ბურდული, მაჩაიძე (აბდულაევი 15), ჩუთლაშვილი, რ. ტეტიაშვილი (ბიძინაშვილი 68), ლ. ტეტიაშვილი

*სათადარიგონი: ქუფარაშვილი, მელიქიშვილი, ბურნაძე, ხიდაშელი*

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

**ოლიმპიკი:** კეკელიძე, გ. ალავიძე, გოგიაშვილი, ცუცქირიძე (სანოძე 31), ჯინჭარაძე, მაისურაძე, ლევინიაშვილი, გ. იაშვილი (როსტომაშვილი 46), ბებუა, ხოკერაშვილი (ლაბარტყავა 40), ბელთაძე

*სათადარიგონი: დაუშვილი, ქამუშაძე, აბრალავა, თვალავაძე*

მწვრთნელი: ლევან მელიქია

მსაჯი: ზ. ასკაროლლი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 15 | 10 | 4 | 1 | 37:23 | 34 |
| დინამო 2 | 15 | 8 | 4 | 3 | 24:14 | 28 |
| მეშაქრე | 14 | 8 | 2 | 4 | 24:16 | 26 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 15 | 7 | 4 | 4 | 23:13 | 25 |
| ჩიხურა | 15 | 7 | 3 | 5 | 28:23 | 24 |
| ოლიმპი 2 | 15 | 6 | 3 | 6 | 18:15 | 21 |
| კახეთი | 15 | 5 | 3 | 7 | 24:25 | 18 |
| ამერი 2 | 14 | 5 | 2 | 7 | 24:26 | 17 |
| ოლიმპიკი | 15 | 3 | 3 | 9 | 19:29 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 15 | 0 | 2 | 13 | 14:46 | 2 |

### დასავლეთი ზონა

**უნივერსიტეტი 0:0 კოლხეთი**

**უნივერსიტეტი:** დ. მემარნიშვილი, ტორაძე, მანაგაძე, ბიბილაშვილი, მ. შველიძე, ლოსაბერიძე, ბერელიძე, ჩხარტიშვილი, ქაშიბაძე, ბოდოკია, ქობალია

*სათადარიგონი: ბასილაია, სულაქველიძე, კუბლაშვილი, მეფარიშვილი*

მწვრთნელი: ედუარდ შავგულიძე

**კოლხეთი:** გ. შენგელია, ქურიძე, გ. სიჭინავა, ცხვიტარია (ლეანია 73), თურქია, გოგნაძე, წაბრია, აბურჯანია, ციკოლია (გვიჩია 56), გ. ხიზანიშვილი, ნ. ნარსია

*სათადარიგონი: ჩემია, მოისწრაფიშვილი*

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: ჩხარტიშვილი, კობალია, აბურჯანია, გვიჩია

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

**მალაროელი 2:1 მარტვილი**

1:0 მუშკუდიანი (15), 1:1 ლომია (59), 2:1 მუშკუდიანი (75)

**მალაროელი:** დოლაძე, მგელაძე, გ. ბრეგვაძე, ეგაძე, შუკაკიძე, სეფერთელაძე, გამცემლიძე, გ. ქირია, ხაჭიპერაძე (მიშველიძე 51), მუშკუდიანი, ზ. ზაზაძე (ტყებუჩავა 21; მ. სამხარაძე 44)

*სათადარიგონი: ბადურაშვილი, ჩოგოვაძე, ტყემალაძე, ლაშხი*

მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

**მარტვილი:** ლ. ძაგანია, ჩხიკვაძე, კვიტატიანი, აქუბარდია, ფარცვანია, გოგუა, ნოწორია, ტ. ჟღენტი (დ. ციცხვაია 70), ჩალაძე (ცაგარეიშვილი 77), ლომია (რუხაძე 82), მუმლაძე

*სათადარიგონი: ბრეგაძე, უგლავა, ძიძიგური, თ. ციცხვაია*

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: მუშკუდიანი, სამხარაძე, ფარცვანია

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

**ხობი 1:1 ტორპედო**

0:1 მდივნიშვილი (37), 1:1 ფარფალია (69)

**ხობი:** თოლორდავა, ჯამბურია, ო. ფიფია, ფარფალია, გ. გოგენია, ი. კუტალია, გ. ექონია (გ. გაგუა 65), კ. გოგენია, პაპავა, ლომაია, ღლონტი

*სათადარიგონი: ლ. ჭითანავა, დ. ჭითანავა, ალანია, შონია, წულაია, სართანია*

მწვრთნელი: ლევან ნოდია

**ტორპედო:** ბზიკაძე, ი. დარსაძე, მირცხულავა, ვ. ვაჩიბერაძე, კ. ძაგანია, გოდერიძე (მეტონიძე 84), კილაძე, ნუცუბიძე, ჭანკვეტაძე, შავგულიძე (ჯოხაძე 80), მდივნიშვილი

სათადარიგონი: ოდიშარია, დანელია, ქათამაძე

მწვრთნელი: დავით ჯანაშია

გაფრთხილება: ლომაია, ფიფია, ნუცუბიძე, ბზიკაძე

მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

**მეშახტე 2:1 ფაზისი**

1:0 გვეტაძე (24), 2:0 მაჩალაძე (77), 2:1 მიქაბერიძე (81)

**მეშახტე:** გიორგაძე, ბოჭორიშვილი, დონაძე, ცქიფურიშვილი, ხაჟალია (თევზაძე 44), ი. გვეტაძე, მაჩალაძე, ხაჩიძე, მაღლაფერიძე, ბ. გვეტაძე, ქურციკიძე

*სათადარიგონი: მერკვილიშვილი, გ. გვენეტაძე, ჭელიშვილი*

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

**ფაზისი:** ხურციძე, გურაბანიძე, ე. კობახიძე, ა. მეტრეველი, გ. რეხვიაშვილი (სანთელაძე 46), კიკვაძე, რატიანი, მიქაბერიძე, შარაბიძე (ვ. კობახიძე 71), სახელაშვილი, ავალიშვილი

*სათადარიგო: გ. ჭელიძე*

მწვრთნელი: გია შარაბიძე

გაფრთხილება: კიკვაძე, დონაძე, კობახიძე

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 15 | 13 | 2 | 0 | 35:10 | 41 |
| მარტვილი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:12 | 27 |
| მეშახტე | 15 | 9 | 0 | 6 | 27:25 | 27 |
| ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 25:16 | 25 |
| ზესტაფონი 2 | 13 | 6 | 2 | 5 | 20:12 | 20 |
| კოლხეთი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:18 | 20 |
| ხობი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:21 | 17 |
| უნივერსიტეტი | 15 | 4 | 3 | 8 | 11:16 | 15 |
| ფაზისი | 15 | 2 | 2 | 11 | 17:37 | 8 |
| სამტრედია | 14 | 1 | 2 | 11 | 11:35 | 5 |

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

# რა ფრე, რის ფრე! მერე სად მიდიხარ?

**E ჯგუფი**

**რეინჯერსი — ლიონი**

**ბარსელონა — შტუტგარტი**

**„რეინჯერსს“** ქულა სჭირდება მერვედფინალში გასასვლელად, მაგრამ მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა თქვა, რომ ფრეზე კი არა, მოსაგებად ითამაშებს. ტურნირის დაწყებამდე გლაზგოელებს ჯგუფში ჩარჩენას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სმიტის გუნდმა ევროპა გააოცა. ჯერ „ლიონს“ სტუმრად სძლია, მერე შინ „შტუტგარტს“, „ბარსელონას“ კი დაუზავდა. მომდევნო ორი შეხვედრა წააგო, თუმც მეორე ადგილი შეინარჩუნა. უოლტერ სმიტი: „ჩემთვის გაუგებარია, როგორ უნდა მოამზადო გუნდი ფრეზე სათამაშოდ. მსგავსი რამ კარიერაში არ გამიკეთებია და ახლაც არ ვაპირებ. მოედანზე არწასაგებად რომ გახვიდე და ბოლო წუთზე გოლი გაუშვა, მერე სად მიდიხარ? ცხადია, ქულაც გვეყოფა, მაგრამ ჩვენ ვითამაშებთ ისე, როგორც ყოველთვის — მოსაგებად“.

„რეინჯერსის“ მწვრთნელი სავარაუდოდ ისეთივე ტაქტიკას (4-1-4-1) გამოიყენებს, რომლითაც „ბარსასთან“ შინ (0:0) ფრეს მიაღწია. ამ მატჩის შემდეგ გლაზგოელთა თამაშს ლიონელ მესიმ ანტიფეხბურთი უწოდა. „ადრე, როცა „რეინჯერსს“ ვწვრთნიდი (1991-1998), ჩემპიონთა ლიგაში იგივე ტაქტიკით ვთამაშობდით, რომელსაც შოტლანდიის პრემიერლიგაში ვიყენებდით. მაშინ ძალიან გვიჭირდა მეტოქეების დამარცხება, ამჯერად კი მიდგომა შევცვალე. ახლა ჩვენ გავხდით ძნელად დასამარცხებლები და თავადაც ხედავთ, რომ ეს ამართლებს“ — განაცხადა სმიტმა.

„რეინჯერსი“ გასულ უქმეებზე ჩემპიონატში „გრეტნას“ უნდა შეხვედროდა, მაგრამ „ლიონისთვის“ უკეთესად რომ მომზადებულიყვნენ, მატჩი გადაუდეს. „ჩაფრებს“ ტრავმირებული ჰყავთ ჟან-კლოდ დარშევილი, ნაჩო ნოვო და დამარკუს ბისლი.

„ლიონსაც“ უნდოდა „კაენთან“ მატჩის გადადება, მაგრამ ფედერაციამ იუარა. ალენ პერენმა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა და 0:1 წააგო. შეხვედრას უოლტერ სმიტიც დაესწრო და ასე შეაფასა: „ლიონმა“ სამ-ოთხი მთავარი მოთამაშე „დამალა“, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ოთხშაბათს ჩვენთან მოედანზე გამოვლენ. მეტოქეზე საკმაო ინფორმაცია მაქვს და ცოცხლად ნანახი ყოველთვის სჯობს ვიდეოს“.

ფრანგული კლუბის პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ თქვა: „რეინჯერსი“ ფავორიტია. მათთან შინ 0:3 წავაგეთ და შოტლანდიელებს საკუთარი გულშემატკივრების დიდი მხარდაჭერა ექნებათ. ჩვენთვის ეს მატჩი წლეულს უმთავრესია. ალბათ აჯობებდა, „კაენთან“ მოგვეგო და გლაზგოში უკეთესი განწყობით წავსულიყავით“.

„ბარსელონას“ პირველი ადგილი განაღდებული აქვს, „შტუტგარტს“ კი — ბოლო: ეს თამაში ალბათ მხიარული გამოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**



უოლტერ სმიტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 11 |
| რეინჯერსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 |
| შტუტგარტი | 5 | 1 | 0 | 4 | 6:12 | 3 |

**წინა მატჩები**

რეინჯერსი — შტუტგარტი 2:1; ბარსელონა — ლიონი 3:0; ლიონი — რეინჯერსი 0:3; შტუტგარტი — ბარსელონა 0:2; შტუტგარტი — ლიონი 0:2; რეინჯერსი — ბარსელონა 0:0; ლიონი — შტუტგარტი 4:2; ბარსელონა — რეინჯერსი 2:0; შტუტგარტი — რეინჯერსი 3:2; ლიონი — ბარსელონა 2:2



# ადრიანომ ნაგვის ყუთი შეინარჩუნა

**2003 წლიდან** მოყოლებული, რადიო „კატესპორტი“ გამოკითხვას ატარებს, სერია A-ს კლუბების ყველაზე წარუმატებელ მოთამაშეებს ასახელებს და მათ სიმბოლურად „ოქროს ნაგვის ყუთს“ გადასცემს ხოლმე.

პირველად ეს ჯილდო რივალდომ მოიპოვა, 2004 წელს ნიკოლა ლეგროტალიემ, 2005-ში კრისტიან ვიერიმ, 2006-ში ადრიანომ და, როგორც მოსალოდნელი იყო, „ოქროს ნაგვის ყუთის“ მფლობელი წელსაც ბრაზილიელი ფორვარდი გახდა, რომელიც ახლა სამშობლოშია და სარეაბილიტაციო კურსს გადის.

ადრიანომ მდევრებს საგრძნობი უპირატესობით გაასწრო, მან ხმების თითქმის 20 პროცენტი მიიღო. მეორეზე მილანელი ნელსონ დიდა გავიდა, მესამეზე კი — მისი თანაკლუბელი და თანამემამულე რონალდო.

ათეულში მოხვდა რიკარდო ოლივეირაც, რომელიც „მილანიდან“ „სარაგოსაშია“ განათხოვრებული.

გთავაზობთ ათეულის სრულ სიას: ადრიანო (ინტერი) — 19,98 პროცენტი; ნელსონ დიდა (მილანი) — 10,86; რონალდო (მილანი) — 8,48; რიკარდო ოლივეირა (სარაგოსა) — 6,58; ტიაგუ მენდეში (იუვენტუსი) — 5,99, ანტონიო კასანო (სამპდორია) — 5,89; ლუის ხიმენესი (ინტერი) — 5,52; დიეგო ტრისტანი (ლივორნო) — 4,68; ფრანჩესკო კოკო (კარიერა დაასრულა) — 4,51; ალბერტო ჯილარდინო (მილანი) — 3,16.

**კოკი კანდელაკი**

# რონალდუ კიჭას ნაცვლად
## რონალდინიოს არ ვყიდით, მაგრამ...

**რონალდინიოს** მომავალი „ბარსელონაზეა“ დამოკიდებული. ბრაზილიელის „კამპ ნოუდან“ წასვლა ოდენ კატალონიური გუნდთან გარიგებით მოხდება, რადგანაც „კიჭას“ „ბარსასთან“ 2010 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს ხელშეკრულება და მასთან კონტრაქტის გაუქმება 125 მილიონი ევრო ღირს. თუ მავანი ფულზეხელაღებული კლუბი გამოჩნდება და ამ თანხას გადაიხდის, ხომ კარგი, თუ არა და ხუან ლაპორტას ბანაკთან სატრანსფერო მოლაპარაკებების რთულ გზას უნდა შეუდგნენ.

ამიტომაცაა რონის ძმა და საფეხბურთო აგენტი რობერტო დე ასისი პრესასთან გამუდმებით რომ გაიძახის, მე და ჩემი ძმა შემოთავაზებებს არ ვიღებთ, სატრანსფერო წინადადებებით კლუბს მიმართეთ და რონალდინიოს ამბავზე უპირველეს ყოვლისა „ბარსელონას“ თავკაცებს დაელაპარაკეთო.

თუმცა სენსაციურმა ინფორმაციებმა გაზეთებში მაინც გამოჟონა. ჯერჯერობით ბოლო „კიჭური მედიაბომბი“ რონის „ჩელსისთან“ წინასწარი ხელშეკრულების გაფორმებაა. ეს ამბავი ესპანურმა „მარკამ“ გაავრცელა და ისიც დასძინა, რობერტო დე ასისი რონალდინიოს „ბარსადან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დახსნას ლამობსო. ოღონდ ლონდონურ კლუბს ბრაზილიელთან პაქტის ამბავი ოფიციალურად არ დაუდასტურებია.

„ბარსელონას“ პრეზიდენტ ლაპორტას კი ალბათ ჭირის დღესავით მოსძულდა სახელგანთქმული ფრაზა: „რონალდინიო არ იყიდება“. კატალონიელთა თავკაცი ამას უკვე იმდენჯერ იმეორებს, რომ ბარსელონაში ხუმრობენ, ლაპორტა მტერ-მოყვარეს სალამზე პასუხობს — რონალდინიო არ იყიდებაო. თუმცა, „სპორტის“ ვერსიით, ამ გაჯანჯლებულ საქმეს „სულ რაღაც“ 40 მილიონი ევრო უშველის. გადაიხადოს რონის მსურველმა უცხო გუნდმა ეს ფული და აფორიაქებული ხუან ლაპორტა და ცნობისმოყვარე აგენტები ერთიანად მოისვენებენ...

ამბობენ, „კამპ ნოუს“ მამებს რონის შემცვლელად „მანჩესტერ იუნაიტედის“ პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ შეურჩევიათ. ბარსელონაში, რა თქმა უნდა, იციან, რომ ფერგიუსონის ციხე-კოშკიდან ასეთი „მზეთუნახავის“ მოტაცება ტიტანურ შრომას უდრის. „მანჩესტერის“ მიტოვება არც თავად რონალდუს უნდა და ალბიონური კლუბიც თავის მარგალიტს კბილებით დაიცავს.

„სპორტი“ წერს, ამქვეყნად ფულისგან შეუძლებელი თითქმის არაფერია და თანაც კრიშტიანუს აგენტი, სახელგანთქმული ჟორჟე მენდეში, პრეზიდენტ ლაპორტას ძველი ძმაბიჭიაო. თან რონალდუ ხომ იგივე ფლანგზე დარბის, სადაც რონალდინიო.

**ლადო ხომერიკი**



ჩემპიონთა ლიგა 2007–200…
ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

F ჯგუფი
რომა — მანჩესტერი
სპორტინგი — დინამო

# ფერგიუსონი ბავშვებით რომშია



სერ ალექსი ახალგაზრდებს რომაულ გამოცდას უწყობს

**ჯგუფში** ხუთივე მატჩის მომგები „მანჩესტერი" რომში სავარაუდოდ, რაინ გიგზის, კრიშტიანუ რონალდუსა და კარლოს ტევესის გარეშე ითამაშებს. ალექს ფერგიუსონის გუნდს, ისევე როგორც „რომას", მერვედფინალის საგზური ჯიბეში აქვს. შოტლანდიელი მწვრთნელი ამიტომაც აპირებს მთავარი ფეხბურთელების დასვენებას. „ცხადია, პატარა ბიჭებს შანსს მივცემთ. შეიძლება ჯონი ევანსი, ჯერარდ პიკე, დენი სიმპსონი და კრის იგლზი ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდნენ. მათ გამოცდილება უნდა მიიღონ. ეს არ ნიშნავს, რომ წასაგებად მივდივართ. გუნდი მოსაგებად იბრძოლებს". პატარებმა ლიგის თასზე თავი შეირცხვინეს, როცა ამ სეზონში შინ „ქოვენთრისთან" 0:2 წააგეს, მაგრამ მწვრთნელი ჯეელებს კვლავაც ენდობა.

გაზაფხულზე „მანჩესტერისგან" ნაწნევი 1:7 „რომას" გულს უღრღნის და ლუჩანო სპალეტი მეტოქეს საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდება. „ეს შეხვედრა ცხრილისთვის არაფერს ნიშნავს, ჩვენთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს — თქვა ფრანჩესკო ტოტიმ — ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „მანჩესტერთან" მოგება პრესტიჟის საქმეა". რომაელთა კაპიტანმა ტრავმა მოიშუშა, გასულ კვირას „ლივორნოსთან" ითამაშა და 69-ე წუთზე შეცვალეს. „ასი პროცენტით მზად ჯერ არ ვარ და პრაქტიკა მჭირდება. შეცვლა მეწყინა, მაგრამ მწვრთნელთან ამის გამო პრობლემა არ მაქვს — აღნიშნა კაპიტანმა — ვიმედოვნებ, რომ ოთხშაბათის შეხვედრას სრულად ჩავატარებ".

მცველმა ფილიპ მექსემ „ლივორნოსთან" მატჩი მუხლის ტკივილის გამო გამოტოვა, სადღეისოდ კი ფორმაში იქნება. საეჭვოა ალბერტო აკვილანისა და სიმონე პეროტას თამაში, ხოლო მარკო კასეტი დისკვალიფიცირებულია.

სამი წლის წინ, როცა „მანჩესტერს" მერვედფინალი ასევე გარანტირებული ჰქონდა, ალექს ფერგიუსონმა შანსი უმცროსებს მისცა და „ფენერბაჰჩესთან" სტამბოლში 0:3 წააგო. უფრო ადრე (1994-95) მსგავს ვითარებაში „მანჩესტერმა" „გალათასარაი" 4:0 გაანადგურა.

ლისაბონში კი „სპორტინგი" კიევის „დინამოს" დაუხვდება, რომელსაც სამი დღის წინ მწვრთნელად 60 წლის იური სიომინი დაუნიშნეს. „დინამომ" ჯგუფში ხუთივე წააგო და დღეს შეცვლება, ერთი ქულა მაინც აიღოს. „სპორტინგმა" გასულ უქმეებზე თასზე „ლულეტანუ" 4:0 დაამარცხა, ხოლო კიეველებმა ასევე სათასო მატჩში „ტავრიას" 3:0 მოუგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 |
| რომა | 5 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 10 |
| სპორტინგი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| დინამო | 5 | 0 | 0 | 5 | 4:16 | 0 |

**წინა მატჩები**

რომა — დინამო 2:0; სპორტინგი — მანჩესტერი 0:1; მანჩესტერი — რომა 1:0; დინამო — სპორტინგი 1:2; დინამო — მანჩესტერი 2:4; რომა — სპორტინგი 2:1; მანჩესტერი — დინამო 4:0; სპორტინგი — რომა 2:2; დინამო — რომა 1:4; მანჩესტერი — სპორტინგი 2:1

# კაკას კოლექცია და მოტივაცია

„ოქროს ბურთის" მფლობელი რიკარდო კაკა თავის „მილანთან" ერთად იაპონიაშია და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ნახევარფინალისთვის ემზადება — ევროპის ჩემპიონთა თასის ბოლო გამარჯვებული „როსონერი" აზიაში უძლიერესს, იაპონურ „ურავა რედ დაიმონდსს" ხვალ იოკოჰამაში დაუპირისპირდება .

კაკას „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი გუშინ ესაუბრა. „მილანმა" მორიგი ვარჯიში მოილია, რიკიმ იაპონელ ბავშვებს ავტოგრაფებიც ბლომად ჩამოურიგა, ბოლოს კი ინტერვიუს დროც დადგა...



— ძალიან მინდა, ეს ტურნირი მოვიგო. ჩემს კოლექციას ახლა მხოლოდ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონის ტიტული აკლია, რომელიც, ვფიქრობ, „ოქროს ბურთზე" არანაკლებ პრესტიჟულია. „მილანი" საკმაოდ მოტივირებულია და არაფერს დავიშურებთ ტურნირის მოსაგებად. ვიცი, რომ ჩემს თამაშზე ახლა გაცილებით მეტია დამოკიდებული, ვიდრე 2003 წელს გახლდათ. მაშინ ის ფინალი პენალტებში წავაგეთ „ბოკასთან", რაც დღემდე მწარედ მახსოვს.

**— მაგრამ ფინალამდე და იქ, სავარაუდოდ, „ბოკასთან" მატჩამდე ნახევარფინალი იაპონურ გუნდთან გელით, „ურავა რედსს" ხომ იაპონელები მხურვალედ უქომაგებენ...**

— ვიცით და ჩვენც თავიდანვე აქცენტი ნახევარფინალზე გავაკეთეთ. იაპონური გუნდის საკუთარ კედლებში დამარცხება ძნელი იქნება, თუმც უეჭველად უნდა მოვიგოთ. მართალია, სპეციალისტებმა ჩვენ და „ბოკა" უკვე გაგვიყვანეს ფინალში და რევანშს გვთხოვენ ოთხი წლის წინანდელი მარცხისთვის, მაგრამ ეს არ მომწონს, ჯერ ნახევარფინალებია სათამაშო. გუშინდელი საუზმისას ტურნირის პირველი მატჩი ვნახეთ, დღეს კი ჩვენი მომავალი მეტოქის შეხვედრა გავარჩიეთ.

**— გეცოდინება, იაპონიაში მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი რამონ კალდერონიცაა ჩამოსული...**

— მისი აქ ყოფნა ნაღდად არ მეხება და არც ის მაინტერესებს, რა მიზნითაცაა ჩამოსული.

**— რონალდინიოს კი „მილანში" ისევ ექაჩებიან...**

— გუნდის გაძლიერება კლუბის ხელმძღვანელობის საქმეა, მე კი მხოლოდ ამ ტურნირის მოგება მაინტერესებს და მხოლოდ ამაზე ვარ კონცენტრირებული.

**— რონალდო ითამაშებს?**

— ყველას ძალიან გვინდა და იმედიც გვაქვს, რომ რონი თამაშს შეძლებს. მას ტრავმა იმდენად არ აღარდებს, რამდენადაც ის, რომ გუნდთან ერთად ვერ ახერხებს ვარჯიშს. იაპონიაში რომ მოვფრინავდით, ვუთხარი, იმედიანად იყავი, ყველანი შენთან ვართ-მეთქი. ვიცით, რომ მას კუნთის მცირე ტრავმა აქვს და ამიტომაც ვერ ვარჯიშობს, თუმც ექიმის იმედი მაინც გვაქვს, იქნებ დართონ კიდეც ნება. აი, მერე კი...



# ფრანჩესკოს აზრები, მიზნები და ოცნებები

**იტალიური** „რომას" ლიდერი და კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი მინდორს რამდენიმეკვირიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა, მაგრამ ჯერჯერობით სპეციალური დამცავი ბუცით უწევს თამაში, რადგან კოჭი ბოლომდე ჯერ არ მოუშუშებია.

„რასაკვირველია, საშინელებაა, როცა ფეხბურთელი ტრავმას იღებს. არავის უნდა უქმად დარჩენა, მით უმეტეს, როცა შენი გუნდი ასე კარგად თამაშობს. ასე რომ, ახლა ორმაგად უცნაური პერიოდი მიდგას, რადგან 16-დან 29 წლამდე სერიოზული ტრავმა არ მიმიღია, ბოლო ორ წელიწადში კი ორჯერ საკმაოდ მძიმედ დავშავდი. თუმცა ყურების ჩამოყრას არ ვაპირებ, კვლავ შემართული ვარ. მჯერა, სირთულეებს გადავლახავ და ძალიან მალე ფორმას ავიღებ" — თქვა 31 წლის ტოტიმ.

„ჯალოროსის" სიმბოლომ თავისი გუნდის შანსებზე, ტრანსფერებსა და ოცნებებზეც ისაუბრა.

„ძლიერი გუნდი გვყავს და ბრძოლა როგორც სკუდეტოსთვის შეგვიძლია, ისე ევროპული თასებისთვისაც. იმედია, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავალთ და „სტადიო ოლიმპიკოზე" „ლივერპულის" პენალტებით დამარცხებით ინგლისელებზე შურს ვიძიებთ. მოგეხსენებათ, ეს ჩემი ოცნებაა. იანვრის სატრანსფერო ფანჯარა? ორსამ მოთამაშეს შევიძენდი, პირადად ჩემზე რომ იყოს — რონალდოს, ლიონელ მესისა და ტიერი ანრის. თუმცა თავდასხმაში ყველაზე მეტად რონალდოსთან ერთად ვისურვებდი თამაშს, მაგრამ ვიცი, რომ ამ ოცნების ახდენის უმცირესი შანსი მაქვს. ანტონიო კასანო? ჩვენ თითქმის ერთნაირ საფეხბურთო ენაზე ვსაუბრობთ. მასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. ანტონიო ძალიან ნიჭიერია და ადრე თუ გვიან თავის ნამდვილ შესაძლებლობებს გამოავლენს" — დასძინა ტოტიმ.

**გიორგი ძაძაგაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**G ჯგუფი**
პსვ — ინტერი
ფენერბაჰჩე — ცსკა


ზიკო „ფენერს“ ისტორიული მატჩისთვის ამზადებს

# ეინდჰოვენს დენი გამოეთიშა

**პსვ** მერვედფინალში გავა, თუ „ინტერს“ მოუგებს და ცსკა „ფენერბაჰჩესთან“ არ წააგებს. ეინდჰოვენელთა მთავარმეგოლე დენი კუვერმანსს ვარჯიშზე მყესი გაუწყდა და გუნდს ვერ დაეხმარება. პსვ-სთვის ეს დიდი დანაკლისია მნიშვნელოვანი მატჩის წინ. კუვერმანსის გარდა იან ვოუტერსს ტრავმირებული მანუელ და კოშტა და დისკვალიფიცირებული ერიკ ადო დააკლდება. თავის მხრივ, დანაკლისი აქვს „ინტერსაც“. ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ვალტერ სამუელი და ნიკოლას ბურდისო დასჯილები არიან. მილანურ მატჩში „ინტერმა“ პსვ 2:0 რომ დაამარცხა, ორივე იბრაჰიმოვიჩმა გაიტანა. მილანელებს ტრავმირებული ჰყავთ ოლივიე დაკური, ლუიშ ფიგუ, დეიან სტანკოვიჩი და ლუის ხიმენესი, რომელმაც ბოლო ოთხ მატჩში სამი გოლი მიითვალა. რობერტო მანჩინის გუნდმა კვირას „ტორინოს“ 4:0 მოუგო, ხოლო პსვ-მ შინ „როდასთან“ 2:4 წააგო და ცხრილში პირველი ადგილი „აიაქსს“ დაუთმო.

„ფენერბაჰჩეს“ მეტოქე ცსკა-ა, ვისთანაც მოსკოვში 2:2 ითამაშა. სტამბოლურმა კლუბმა გასულ უქმეებზე დერბიში „გალათასარაის“ 2:0 სძლია, მწვრთნელმა ზიკომ კი განაცხადა: „ძალიან ცუდია, რომ ორი ასეთი რთული მატჩის თამაში ოთხ დღეში გვიწევს. „გალათასარაისთან“ მობილიზება მოვახერხეთ და მოვიგეთ, ცსკა-სთან შეხვედრა კი „ფენერის“ ისტორიაში უმთავრესი გამოცდაა. ამბობენ, რომ ჩვენ იოლად დავამარცხებთ მოსკოველებს, რომელთა ძირითად შემადგენლობასაც რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება, მაგრამ მერწმუნეთ — ჩემპიონთა ლიგაში იოლი მატჩები არ არსებობს. რა სუსტიც უნდა იყოს მეტოქე, მისი შეუფასებლობა დამღუპველია“. „ფენერბაჰჩე“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში არასოდეს გასულა და ღლევანდელ მატჩს ზიკომ ამიტომაც უწოდა ისტორიული გამოცდა.

ცსკა-ს მეკარემ იგორ აკინფეევმა კი თურქულ „ფანატიკთან“ თქვა: „ცხადია, „ფენერბაჰჩე“ ფავორიტია, მით უმეტეს, საკუთარ სტადიონზე და გულშემატკივრების თვალწინ. ალბათ, თავიდანვე მაგრად შემოგვიტევენ და მატჩის უდიდეს ნაწილს ჩემი კარის წინ გაატარებენ, მაგრამ მოგება ჩვენც გვინდა. არანაკლებ სახელოვანი გუნდი ვართ და ღირსება გაგვაჩნია. მერე რა, რომ ბოლო ადგილზე ვართ და უეფას თასზე თამაშის შანსიც აღარ დაგვრჩა. ქომაგები ჩვენგანაც გამარჯვებას ითხოვენ. მეტოქის ფეხბურთელებიდან ყველაზე სახიფათოდ ალექსი და რობერტო კარლოსი მიმაჩნია“.

**რომან თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | 12 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| პსვ | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | 7 |
| ცსკა | 5 | 0 | 1 | 4 | 6:11 | 1 |

**წინა მატჩები**

პსვ — ცსკა 2:1; ფენერბაჰჩე — ინტერი 1:0; ცსკა — ფენერბაჰჩე 2:2; ინტერი — პსვ 2:0; ცსკა — ინტერი 1:2; პსვ — ფენერბაჰჩე 0:0; ინტერი — ცსკა 4:2; ფენერბაჰჩე — პსვ 2:0; ცსკა — პსვ 0:1; ინტერი — ფენერბაჰჩე 3:0

# ჩემი მწვრთნელი გიწოდე...

### ჟოზეს არა!

**როგორც** იქნა! ჟოზე მაურინიუმ ხმამაღლა თქვა, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა არ სურს. ამასთან პორტუგალიელმა მწვრთნელმა დასძინა, რომ ეს ხანგრძლივი და ღრმა ფიქრის შედეგად გადაწყვიტა.

მოგეხსენებათ, ინგლისელი გულშემატკივრის უპირობო ფავორიტი სწორედ მაურინიუ გახლდათ. ბრიტანული გაზეთებიც მალიმალ ახსენებდნენ თავიანთი ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელ შეფს ბრაიან ბორვიკს (ადამიანს, რომელსაც ვაკანტურ თანამდებობაზე ღირსეული კანდიდატის შერჩევა ევალება) პორტუგალიაში დარეკვის აუცილებლობას, შიშობდნენ, რომ საქმის გაჭიანურებით ინგლისის ნაკრები სასურველ თავკაცს დაკარგავდა, მაგრამ ბოლო დღეებში „სანმა“ აღმოაჩინა, რომ მაურინიუ და ბორვიკი კარგა ხანია საიდუმლო მოლაპარაკებებს ეწევიან, ოღონდ ეგ არის, ეს მოლაპარაკებები... უშედეგოდ დასრულდა.

საბოლოოდ ჟოზე მაურინიუმ ოფიციალური განცხადებაც გამოაქვეყნა:

„მას მერე, რაც სტივ მაკლარენმა ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა დატოვა, ჩემი წარმომადგენლები გამუდმებით ხვდებოდნენ ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებს. თავადაც მქონდა საუბრები ბრაიან ბორვიკსა და ტრევორ ბრუკინგთან, ერთმანეთს მოსაზრებებს ვუცვლიდით, და ვამზადებდით ნიადაგს იმ შემთხვევისთვის, თუ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია საბოლოოდ ოფიციალურად შემომთავაზებდა ვაკანსიას. საბოლოოდ, თუმც ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა ჩემთვის ფანტასტიკური სამსახური იქნებოდა, ხანგრძლივი და ღრმა ფიქრის შედეგად გადავწყვიტე, ხსენებულ თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურა აღარ განმეხილა. ეჭვი არ მეპარება, რომ ინგლისის ეროვნული გუნდი მოძებნის ღირსეულ თავკაცს, რომელიც მას მსოფლიო ფეხბურთში კუთვნილ პოზიციას დაუბრუნებს. მინდა ინგლისური ფეხბურთისადმი ჩემი ღრმა პატივისცემა დავადასტურო და ამ ქვეყანაში გატარებული სამი საუცხოო წლის საფუძველზე გამოვთქვა რწმენა, რომ ყველაფერი ჩინებულად განვითარდება.“

ასე და ამგვარად, როგორც ამბობენ, ინგლისელთა ნომერ პირველი ფავორიტი „ინტერისთვის“ ან მადრიდის „რეალისთვის“ არის მზად. ინგლისის ნაკრების გაძღოლაზე მისი უარი კი 61 წლის იტალიელ ფაბიო კაპელოს უხსნის გზას.





### ფაბიოს კი!

**ფაბიო კაპელო** ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებს უახლოეს 48 საათში შეხვდება და ყველაფერი გაირკვევა — აი, რა გამოცხადდა გუშინ დილით. ახლა უკვე შეგიძლიათ 48-ს 24 გამოაკლოთ. და თუ ინგლისური ფეხბურთის შეფები ამ საუბრებისას დარწმუნდებიან, რომ კაპელო სწორედ ის არის, ვინც მათ ნაკრებს სჭირდება, ჩათვალეთ, რომ ყველაზე გვიან პარასკევს, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონს მწვრთნელი ჰყავს.

მოლაპარაკებებს იტალიელის მხრიდან დაესწრება მისი ვაჟი პიერფილიპოც. პიერფილიპო კაპელო მამის აგენტი ყოფილა. უკვე ცნობილია, რომ კაპელოს გამწვრთნელების შემთხვევაში მისი ასისტენტი „ჩელსის“ ყოფილი ვარსკვლავი და მთელი ინგლისის საყვარელი იტალიელი ფეხბურთელი ჯანფრანკო ძოლა იქნება. ამასთან, კაპელოს განცხადებით, მის შტაბში აუცილებლად იქნებიან ინგლისელებიც. ამბობენ, რომ ლაპარაკია სტიუარტ პირსსა და ალან შირერზე.

ცნობილია ისიც, რომ ფაბიო კაპელო წელიწადში 4 მილიონ გირვანქას ითხოვს. შეგიძლიათ ეს თანხა შეადაროთ 6 მილიონს, რომელსაც ჟოზე მაურინიუ ითხოვდა და დარწმუნდებით, რომ ეკონომიის თვალსაზრისით, ინგლისელებს პორტუგალიელს იტალიელი უჯობთ. ხოლო, თუ ფაბიო კაპელო ვერ დაამტკიცებს, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელობის საუკეთესო კანდიდატია, მაშინ ბრაიან ბორვიკი და ძმანი მისნი პირდაპირ გადაერთვებიან კიდევ ერთ იტალიელთან, მარჩელო ლიპისთან მოლაპარაკებებზე. შეგახსენებთ, რომ ბორვიკის სიაში რჩებიან ლიპი, მარტინ ონილი და იურგენ კლინსმანი, თუმცა, არ არის გამორიცხული, „ლივერპულმა“ რაფა ბენიტესი მოხსნას და კლინსმანი „გაწითლდეს“.

ამასობაში კი ინგლისელმა ჟურნალისტებმა მადრიდში „რეალის“ ერთ-ერთ შეფს პრედრაგ მიატოვიჩს ჩააკითხეს და კაპელოზე აზრი გამოკითხეს.

„კაპელო ნაკრების თავკაცად ვერ წარმომიდგენია — უთხრა მათ მიატოვიჩმა — ფაბიო ყველაზე კარგად კლუბში იმუშავებს და თან, რაც უფრო დიდია კლუბი, მით უკეთეს შედეგსაც მიაღწევს.“

**ბაჩუნა ძედია**



# კაპელომ კასანო გაამხნევა

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი, ცნობილი იტალიელი სპეციალისტი ფაბიო კაპელო მიიჩნევს, რომ „სამპდორიას“ თავდამსხმელი ანტონიო კასანო „სკუადრა აძურაში“ დაბრუნებას იმსახურებს, თუ, რა თქმა უნდა, თამაშს ისევე კარგად გააგრძელებს, როგორც ბოლო ხანს თამაშობდა.

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ ცოტა ხნის წინ თქვა, ყველას ვაკვირდები, თავის გამოჩენის და ევრო 2008-ზე წასვლის შანსი ყველას ექნება, მათ შორის კასანოსაც. მთავარია, მან მოინდომოსო.

„თუ კასანო ასე გააგრძელებს, არა მხოლოდ „სამპდორიას“ მნიშვნელოვანი მოთამაშე იქნება. შესაძლოა, ნაკრებშიც დააბრუნონ და ეს ძალიან გამახარებს. განა ბევრია იტალიელი ფეხბურთელი, რომელიც მეტოქის საჯარიმოში მცველებს ისე იოლად ატყუებს, როგორც ანტონიო? მან წონაშიც დაიკლო, ნელ-ნელა უმატებს და, ვფიქრობ, საუკეთესო კონდიციების დაბრუნება შეუძლია“ — თქვა კაპელომ.

შეგახსენებთ, რომ დონ ფაბიოს და „ხულიგანს“ ერთად „რომასა“ და მადრიდის „რეალში“ უმუშავიათ. კასანო კი გენუელთა გუნდში „სამეფო კლუბიდანაა“ განათხოვრებული.

**გიორგი ძაძამიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

**H ჯგუფი**

**არსენალი — სტიაუა**
**სლავია — სევილია**

# არსენ ვენგერი: სტიაუა ჩელსისთვის

**არსენ ვენგერი** „სტიაუასთან" მატჩში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების დასვენებას აპირებს. თუ „სევილია" პრაღაში „სლავიასთან" მოიგებს, „სტიაუასთან" „არსენალის" გამარჯვებას აზრი დაეკარგება იმ მხრივ, რომ „მეთოფეები" პირველ ადგილზე მაინც ველარ გავლენ. შედეგად, მერვედფინალის წილისყრისას ვენგერის გუნდი შესაძლოა, „ბარსას", „ინტერს" ან „მილანს" შეხვდეს. „არსენალის" მწვრთნელს ურჩევნია, ზემოთ ჩამოთვლილ გუნდებს დაეჯახოს, ვიდრე ძირითადი შემადგენლობა დაიქანცოს „სტიაუასთან", „ტყუილად" მოიგოს და კვირას „ჩელსის" სათანადო ფორმაში ვერ დაუხვდეს. სწორედ „ჩელსისთან" მომავალი მატჩია ვენგერის გადაწყვეტილების მიზეზი. „მეთოფეებს" ტრავმების გამო ისედაც აკლიათ ფაბრეგასი, გლები, ფლამინი და ვან პერსი, მწვრთნელმა კი განაცხადა, რომ დღეს ადებაიორი, ტურე, როსიცკი და სანიაც სათადარიგოებში იქნებიან.

კვირას „მიდლსბროსთან" წაგების (1:2) გამო „არსენალს" პრემიერლიგაში მდევრები წამოეწივნენ. „მეთოფეები" „მანჩესტერს" ერთი ქულითღა უსწრებენ, ხოლო „ჩელსის", ვისთანაც კვირას შეხვედრა ელის — სამით.

არსენ ვენგერი: „ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მერვედფინალში ვის გადავეყრებით. მაგალითად, შარშან არცთუ ძლიერ პსვ-ს შევხვდით, რომელმაც ორივე მატჩში ანტიფეხბურთი ითამაშა, დაცვაში იდგა და ერთი გოლით მოგვიგო. იქნებ ისევ „ბარსელონასთან" ან „რეალთან" თამაში ჯობდეს. მეორე ადგილზე თუ გავალთ, ჩვენთან შეხვედრაც ბევრს არ გაუხარდება. ამას ვამბობ, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, რომ „სლავია" „სევილიასთან" არ წააგებს, ჩვენ კი „სტიაუას" დავამარცხებთ და ცხრილის თავში მოვექცევით".

„არსენალმა" ბოლო ოთხი მატჩიდან მხოლოდ ერთში იმარჯვა, რაც ფაბრეგასის და გლების ტრავმების ბრალია, ხოლო „მიდლსბროსთან" მარცხი სეზონში პირველი იყო. „სამწუხაროა, რომ ნახევარდაცვის ორი მთავარი ფეხბურთელი გამოგვაკლდა და გუნდს ამის გამო გაუჭირდა. მაგრამ ვისაც თამაშის შანსს ვაძლევ, მათაც ვენდობი".



ვენგერი რუმინელებს რეზერვისტებს დაუპირისპირებს

ბუქარესტის „სტიაუამ" ჩემპიონატში „ჩაპლაულთან" სტუმრად ბადეას გოლით 1:0 მოიგო.

„სევილია" პრაღაში გამარჯვებას შეეცდება, რათა პირველი ადგილი შეინარჩუნოს და მერვედფინალში ბობოლებს ასცდეს. ანდალუსიელებმა პრიმერადივიზიონში „მურსია" დაამარცხეს. ლუიშ ფაბიანომ დუბლი შეასრულა, ერთი კი პენალტით მარესკამ გაიტანა. რაც შეეხება „სლავიას", პრაღულმა გუნდმა სტუმრად „კლადნოს" 1:0 სძლია და ჩემპიონატში კვლავ პირველ ადგილზეა.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 5 | 4 | 0 | 1 | 11:7 | 12 |
| არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:3 | 10 |
| სლავია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:13 | 5 |
| სტიაუა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:8 | 1 |

**წინა მატჩები**

არსენალი — სევილია 3:0; სლავია — სტიაუა 2:1; სტიაუა — არსენალი 0:1; სევილია — სლავია 4:2; სევილია — სტიაუა 2:1; არსენალი — სლავია 7:0; სტიაუა — სევილია 0:2; სლავია — არსენალი 0:0; სევილია — არსენალი 3:1; სტიაუა — სლავია 1:1



# პელეგრინი წყალქვეშა ნავიდან არ გაუშვეს

**მანუელ პელეგრინი** სამომავლოდაც „ვილიარეალის" სათავეში იქნება. ჩილელმა მწვრთნელმა გუშინ „ყვითლებთან" კონტრაქტი ორი სეზონით გააგრძელა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სპეციალისტი 2010 წლის 30 ივნისს „ვილიას" თავკაცობის მეექვსე სეზონს მოასრულებს.

ამგვარად, „ვილიარეალმა" ისევ ძველ დამრიგებელთან არჩია თანამშრომლობა და ამით პელეგრინის მომავალზე მედიის მარჩიელობას ბოლო მოუღო. ჩილელ კაცს უამრავი შემოთავაზება ჰქონდა მიღებული. სენიორ პელეგრინის ძირითადად ინგლისური პრემიერლიგიდან ეპატიჟებოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ „ელ მადრიგალის" დატოვების სურვილი მწვრთნელმა საჯაროდ გაამხილა და „ვილიარეალთან" კონტრაქტის განახლების თაობაზე მოლაპარაკება დროებით გადადო — ჯერ ინგლისური შემოთავაზებანი უნდა განეხილა. თუმცა „ყვითლების" თავკაცებმა ალბიონელებზე მეტად იაქტიურეს. პელეგრინის გუნდის პრეზიდენტ ფერნანდო როიგთან და მის გარემოცვასთან შესანიშნავი ურთიერთობა აკავშირებს. ასე რომ, მეგობრებს ერთმანეთში მოლაპარაკება არ გასჭირვებიათ. „მანუელ პელეგრინი ამჟამად „ვილიარეალისთვის" იდეალური მწვრთნელია. ძალიან გვიხარია, რომ მასთან თანამშრომლობას კიდევ ორი სეზონით გავაგრძელებთ" — განაცხადა ფერნანდო როიგმა მედიასთან საუბარში.

ოკეანისგაღმელი მწვრთნელი „ელ მადრიგალზე" 2004 წლის ზაფხულში მივიდა. პელეგრინიმ „ყვითელ წყალქვეშა ნავში" პირველივე სეზონში გამოიჩინა თავი, როცა „ვილიარეალს" პრიმერადივიზიონში მესამე ადგილი მოაპოვებინა და ჩემპიონთა ლიგისკენ გზა გაუკვალა. 2005-06-ის სეზონში დონ მანუელის გუნდს ბრწყინვალე საჩემპიონთალიგო კამპანია ჰქონდა, ესპანელებმა ნახევარფინალს მიაღწიეს, სადაც არსენ ვენგერის „არსენალთან" წააგეს.

შარშან „ვილიარეალმა" ესპანური პრიმერა მეხუთე ადგილზე ჩაამთავრა — ბოლო რვა თამაში მოჯერით მოიგო. წლეულს კი „ყვითლებისთვის" ყველაფერი კარგად დაიწყო, თუმცა ახლა გუნდი მცირე კრიზისს განიცდის. პელეგრინიზე ისიც უნდა ვთქვათ, ხუან რომან რიკელმეს რომ გაუბრაზდა და ბოლო ერთი წელიწადი ბურთსა და მოედანს არ გააკარა.

**ლადო ხომერიკი**

# ღამურაზე ინგლისელები ნადირობენ

**იანვრის** სატრანსფერო ბაზრის პერიოდში „ვალენსიას" ფორვარდ დავიდ ვილიაზე ხუანდე რამოსის „ტოტენჰემი" ინადირებს. ამის შესახებ მედიას ვილიას აგენტმა ხოსე ლუის ტამარგომ მოახსენა. ხსენებული სენიორის აზრით, „ღამურები" ინგლისელებს გადაჭრით უარს არ ეტყვიან და „ტოტენჰემის" წინადადებას განიხილავენ.



დავიდ ვილია

„ვილიას თაობაზე უამრავმა კლუბმა მომმართა. დარწმუნებული ვარ, რომ თუ „ტოტენჰემი" საქმეში სერიოზულად ჩაერთო, „ვალენსია" პირდაპირ უარს არ იტყვის. ინგლისელების შემოთავაზებას ყურადღებით განიხილავენ" — აღნიშნა ხოსე ლუის ტამარგომ.

შეგახსენებთ, რომ „მამლების" დაინტერესებამდე ვილია „ჩელსის", „ლივერპულის" და „არსენალის" სატრანსფერო სამიზნეშიც იყო. „ჩემი სადღეისო მიზანი „ვალენსიას" წარმატებაა. კლუბში თავს კარგად ვგრძნობ, ამიტომაც ამ ეტაპზე უცხო გუნდების შემოთავაზებებზე საუბრისგან თავს შევიკავებ" — აცხადებს დავიდ ვილია.

**ლადო ხომერიკი**

# ფრანგებს ევრო 2016 უნდათ



ბერნარ ლაპორტი

**საფრანგეთს** ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა სურს. ეს ინფორმაცია სპორტის მინისტრმა ბერნარ ლაპორტმა დაადასტურა, რომელიც ცოტა ხნის წინ საფრანგეთში გამართულ რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატზე ეროვნულ ნაკრებს თავკაცობდა, მერე კი მინისტრი გახდა. „ევრო 2016-ის მასპინძლობა გვინდა. უეფაში განაცხადს 2008 წლის ბოლოს ან 2009 წლის დასაწყისში შევიტანთ. ახლახან ვესაუბრე ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს და სრულ მხარდაჭერას შევპირდი" — თქვა ლაპორტმა.

აქამდე საფრანგეთს ერთხელ აქვს ევროპის ჩემპიონატი ჩატარებული — 1984 წელს. ასევე ერთხელ, 1998 წელს — მსოფლიოს ჩემპიონატი და ორივე ეს ტურნირი სწორედ „მამლების" ტრიუმფით დასრულდა.

**კოკი კანდელაკი**

# ტრისტანმა ნანტი ჩააფიქრა

**შესაძლოა**, დიეგო ტრისტანი ისევ იქცეს „მოხეტიალე" ფეხბურთელად. ექსმალიორკელი, რომელიც წლეულს „დეპორტივოდან" იტალიურ „ლივორნოში" გადავიდა, სეზონის, ბოლოს ალბათ აპენინურ კლუბსაც დატოვებს.

31 წლის ტრისტანმა კვირას სერია A-ში თავისი პირველი გოლი შეაგდო, თანაც „ნანტის" სკაუტთა თვალწინ — ფრანგები დიეგოს სანახავად იყვნენ იტალიაში ჩასულნი და ესპანელის სიჩაუქით ფრიად ისიამოვნეს.

„ნანტი" საფრანგეთის მეორე დივიზიონში თამაშობს და უმაღლესში გადასასვლელად კარგი შანსი აქვს. ამიტომაც ზვერავენ გალები ტრისტანს, სამომავალსეზონოდ მეგოლე სჭირდებათ.

დღეს ტრისტანი ცხოვრების იტალიურ წესს ეწევა, თუმცა, „მარკას" ცნობით, თუ „ნანტმა" გაისად უმაღლესი გაინაღდა, დიეგო ფრანგულ თავგადასავალზეც დათანხმდება.

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 13 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 5 | ბირმინგემი-რედინგი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 1 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 19:00 | 2 | ვესტ ჰემი..-ევერტონი.. | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 3 | უიგანი-ბლექბერნი | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 19:00 | 6 | დერბი-მიდლსბრო | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 21:15 | 7 | ფულემი-ნიუკასლი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 19:00 | 9 | სიტი-ბოლტონი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 19:00 | 11 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 4 | არსენალი-ჩელსი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 17:30 | 8 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 50 | კილმარნოკი-გრეტნა | 1.55 | 3.40 | 5.45 | 1.06 | 1.20 | 2.09 |
| 19:00 | 51 | მოზერუელი-აბერდინი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 52 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.40 | 3.70 | 7.90 | 1.01 | 1.18 | 2.51 |
| 19:00 | 54 | სტ.მირენი-დანდი იუნაიტედი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 19:00 | 55 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 19:00 | 56 | ინვერნესი-სელტიკი | 7.20 | 3.90 | 1.35 | 2.52 | 1.13 | 1.00 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 58 | კლაიდი-ლივინგსტონი | 2.30 | 3.45 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 19:00 | 59 | ჰამილტონი-სტ.ჯონსტონი | 1.80 | 3.50 | 3.50 | 1.18 | 1.18 | 1.75 |
| 19:00 | 60 | მორტონი-დანდი | 3.05 | 3.45 | 2.00 | 1.61 | 1.20 | 1.26 |
| 19:00 | 61 | პარტიკი-დანფერმლაინი | 2.00 | 3.45 | 3.05 | 1.26 | 1.20 | 1.61 |
| 19:00 | 62 | სტირლინგი-ქუინი | 2.30 | 3.45 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 555 | ეარი-რეითი | 3.25 | 3.60 | 1.90 | 1.70 | 1.19 | 1.24 |
| 19:00 | 556 | ბრეჩინი-ერდრი | 2.85 | 3.45 | 2.10 | 1.56 | 1.20 | 1.30 |
| 19:00 | 557 | კოუდენბითი-ალოა | 2.25 | 3.50 | 2.60 | 1.36 | 1.20 | 1.49 |
| 19:00 | 558 | ქუინზ პარკი-პიტერჰედი | 2.25 | 3.50 | 2.60 | 1.36 | 1.20 | 1.49 |
| 19:00 | 559 | როსი-ბერიკი | 1.35 | 4.30 | 7.25 | 1.02 | 1.13 | 2.69 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 63 | მონტროუზი-ფორფარი | 1.40 | 3.90 | 6.20 | 1.03 | 1.14 | 2.39 |
| 19:00 | 64 | სტრანრარი-სტენჰაუზმური | 1.55 | 3.70 | 4.70 | 1.09 | 1.16 | 2.07 |
| 19:00 | 65 | ალბიონი-არბროთი | 2.70 | 3.45 | 2.15 | 1.51 | 1.19 | 1.32 |
| 19:00 | 66 | ისტ ფაიფი-დამბარტონი | 1.25 | 4.75 | 7.95 | 1.00 | 1.08 | 2.97 |
| 19:00 | 67 | ისტ სტირლინგი-ელგინი | 2.30 | 3.50 | 2.55 | 1.38 | 1.20 | 1.47 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 14 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 104 | კოტბუსი -ჰანოვერი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 18:30 | 100 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 18:30 | 101 | ჰერტა-ბაიერნი | 5.50 | 3.40 | 1.60 | 2.10 | 1.23 | 1.08 |
| 18:30 | 103 | არმინია-შტუტგარტი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 18:30 | 105 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 18:30 | 106 | კარლსრუე-ჰამბურგი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:30 | 109 | შალკე-ნიურნბერგი | 1.50 | 3.70 | 6.20 | 1.06 | 1.20 | 2.31 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 107 | ჰანზა-ბოხუმი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 20:00 | 108 | დუისბურგი-აინტრახტი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 18:00 | 137 | ტორინო-რომა | 5.00 | 3.15 | 1.70 | 1.93 | 1.26 | 1.10 |
| 18:00 | 139 | ატალანტა-პალერმო | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 23:30 | 140 | კალიარი-ინტერი | 7.50 | 3.70 | 1.40 | 2.47 | 1.17 | 1.01 |
| 18:00 | 142 | კატანია-უდინეზე | 2.85 | 2.90 | 2.45 | 1.43 | 1.31 | 1.32 |
| 18:00 | 143 | ემპოლი-ჯენოა | 2.05 | 3.00 | 3.50 | 1.21 | 1.29 | 1.61 |
| 18:00 | 144 | ლაციო-იუვენტუსი | 3.30 | 2.90 | 2.20 | 1.54 | 1.32 | 1.25 |
| 18:00 | 146 | პარმა-რეჯინა | 1.70 | 3.10 | 4.90 | 1.09 | 1.26 | 1.89 |
| 18:00 | 147 | სამპდორია-ფიორენტინა | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 18:00 | 148 | სიენა-ნაპოლი | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| | | იტალია. სერია C1/A | | | | | | |
| | | 12 დეკემბერი | | | | | | |
| 17:30 | 560 | ლენიანო-კავეზე | 2.05 | 2.65 | 4.00 | 1.15 | 1.35 | 1.59 |
| 17:30 | 561 | მონცა-ვენეცია | 2.20 | 2.65 | 3.55 | 1.20 | 1.35 | 1.51 |
| 17:30 | 562 | ლეკო-ვერონა | 2.40 | 2.65 | 3.10 | 1.25 | 1.35 | 1.42 |
| 17:30 | 563 | ფოლინიო-სასუოლო | 2.40 | 2.65 | 3.10 | 1.25 | 1.35 | 1.42 |
| 17:30 | 564 | ნოვარა-პრო სესტო | 1.70 | 2.85 | 5.50 | 1.06 | 1.29 | 1.87 |
| 17:30 | 565 | პადოვა-ფოჯა | 1.70 | 2.75 | 5.85 | 1.05 | 1.31 | 1.87 |
| 17:30 | 566 | პაგანესე-პრო პატრია | 2.35 | 2.65 | 3.20 | 1.24 | 1.35 | 1.44 |
| 17:30 | 567 | მანფრედონია-კრემონეზე | 3.70 | 2.70 | 2.10 | 1.56 | 1.33 | 1.18 |
| 17:30 | 568 | ტერნანა-ჩიტადელა | 2.85 | 2.65 | 2.60 | 1.37 | 1.35 | 1.31 |
| | | იტალია. სერია C1/B | | | | | | |
| | | 12 დეკემბერი | | | | | | |
| 17:30 | 569 | ანკონა-არეცო | 2.05 | 2.65 | 4.00 | 1.15 | 1.35 | 1.59 |
| 17:30 | 570 | მარტინა-პისტოიეზე | 2.50 | 2.70 | 2.90 | 1.29 | 1.34 | 1.39 |
| 17:30 | 571 | სანჯოვანეზე-პერუჯა | 3.25 | 2.70 | 2.30 | 1.47 | 1.34 | 1.24 |
| 17:30 | 572 | ლუკეზე-ტარანტო | 1.75 | 2.75 | 5.30 | 1.06 | 1.31 | 1.81 |
| 17:30 | 573 | კროტონე-ლანჩანო | 1.50 | 3.10 | 7.50 | 1.01 | 1.25 | 2.19 |
| 17:30 | 574 | პესკარა-გალიპოლი | 2.45 | 2.70 | 3.00 | 1.28 | 1.34 | 1.42 |
| 17:30 | 575 | პოტენცა-სამბენედეტეზე | 2.10 | 2.65 | 3.80 | 1.17 | 1.35 | 1.56 |
| 17:30 | 576 | სტაბია-სალერნიტანა | 3.85 | 2.70 | 2.05 | 1.58 | 1.33 | 1.16 |
| 17:30 | 577 | მასესე-სორენტო | 2.05 | 2.70 | 3.85 | 1.16 | 1.33 | 1.58 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 183 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.30 | 4.60 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| 23:45 | 185 | ვალენსია-ბარსელონა | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 178 | ვალიადოლიდი-სევილია | 2.85 | 3.10 | 2.40 | 1.48 | 1.30 | 1.35 |
| 20:00 | 179 | ბეტისი-ალმერია | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 20:00 | 180 | ხეტაფე-ვილიარეალი | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 22:00 | 182 | უელვა-ატლეტიკო | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 20:00 | 184 | დეპორტივო-სარაგოსა | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 23:45 | 186 | რეალი-ოსასუნა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 20:00 | 188 | მალიორკა-ბილბაო | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 20:00 | 189 | მურსია-რასინგი | 2.45 | 3.10 | 2.85 | 1.36 | 1.31 | 1.48 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 203 | ლე მანი-ლორიანი | 1.85 | 3.10 | 4.25 | 1.15 | 1.28 | 1.79 |
| 23:00 | 204 | ლილი-სტ.ეტიენი | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 20:10 | 205 | ლიონი-ნიცა | 1.45 | 3.60 | 7.50 | 1.03 | 1.21 | 2.43 |
| 23:00 | 207 | მეცი-სოშო | 2.45 | 3.00 | 2.75 | 1.34 | 1.29 | 1.43 |
| 23:00 | 208 | მონაკო-ლანსი | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 23:00 | 209 | პსჟ-ტულუზი | 1.90 | 3.10 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| 23:00 | 210 | რენი-კაენი | 2.00 | 3.00 | 3.75 | 1.20 | 1.30 | 1.66 |
| 23:00 | 213 | ვალენსიენი-ოსერი | 2.00 | 3.00 | 3.75 | 1.20 | 1.30 | 1.66 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 201 | ბორდო-მარსელი | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 21:00 | 211 | სტრასბური-ნანსი | 2.45 | 2.90 | 2.85 | 1.32 | 1.31 | 1.43 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 12 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 307 | რეინჯერსი-ლიონი | 2.95 | 3.20 | 2.25 | 1.53 | 1.27 | 1.32 |
| 23:45 | 308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 23:45 | 309 | ბარსელონა-შტუტგარტი | 0:1 2.10 | 3.50 | 2.80 | | | |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 310 | რომა-მანჩესტერი | | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 23:45 | 311 | სპორტინგი-დინამო კ | | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 23:45 | 312 | პსვ-ინტერი | | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 23:45 | 313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | | 1.25 | 5.20 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.36 |
| 23:45 | 314 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 0:1 | 1.75 | 3.50 | 3.60 | | | |
| 23:45 | 315 | არსენალი-სტიაუა ბქ | | 1.25 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.42 |
| 23:45 | 316 | არსენალი-სტიაუა ბქ | 0:1 | 1.75 | 3.50 | 3.60 | | | |
| 23:45 | 317 | სლავია-სევილია | | 3.90 | 3.30 | 1.90 | 1.78 | 1.27 | 1.20 |
| | | ინგლისი. Curling Cup | | | | | | | |
| | | 12 დეკემბერი | | | | | | | |
| 23:45 | 80 | ვესტ ჰემი-ევერტონი | | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | | |
| | | 12 დეკემბერი | | | | | | | |
| 22:00 | 83 | ელჩე-ბეტისი | | 2.90 | 3.00 | 2.40 | 1.47 | 1.31 | 1.33 |
| 23:45 | 84 | ბურგოსი-ხეტაფე | | 5.50 | 3.40 | 1.55 | 2.10 | 1.20 | 1.06 |
| 23:45 | 85 | გრანადა-ატლეტიკო | | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| 23:45 | 578 | ოსასუნა-მალიორკა | | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | იტალია თასი | | | | | | | |
| | | 12 დეკემბერი | | | | | | | |
| 23:30 | 319 | კალიარი-სამპდორია | | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი. ნაკრებები.ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 12 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 87 | გერმანია-შვეიცარია | 2.20 | 4.10 | 2.20 | 1.43 | 1.10 | 1.43 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 12 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 545 | ტაუ-ოლიმპიაკოსი | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 23:45 | 550 | უნიკახა-არისი | 1.12 | 12.00 | 4.30 | 1.02 | 1.00 | 3.16 |
| 22:15 | 551 | ეფესი-ციბონა | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |
| 22:15 | 552 | რიტასი-მილანი | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |
| | | 13 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 546 | ბარსელონა-პარტიზანი | 1.10 | 12.00 | 5.30 | 1.00 | 1.00 | 3.67 |
| 22:15 | 547 | ჟალგირისი-ვ.ბოლონია | 1.20 | 12.00 | 3.30 | 1.09 | 1.00 | 2.58 |
| 23:45 | 549 | ოლიმპია-სიენა | 3.20 | 12.00 | 1.25 | 2.52 | 1.00 | 1.13 |
| 23:30 | 553 | ლე მანი-მაკაბი | 2.40 | 12.00 | 1.45 | 2.00 | 1.00 | 1.29 |
| 23:00 | 554 | რეალი-ფენერბაჰჩე | 1.10 | 12.00 | 5.30 | 1.00 | 1.00 | 3.67 |
| | | მსოფლიო ჩემპიონატიკლუბებს შორის. იაპონია | | | | | | |
| | | 12 დეკემბერი | | | | | | |
| 14:30 | 76 | ბოკა ხუნიორსი-ე.ს.ს(ტუნისი) | 1.30 | 4.40 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.00 |
| | | 13 დეკემბერი | | | | | | |
| 14:30 | 89 | მილანი-ურავა | 1.25 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.05 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10083 | ელჩე-ბეტისი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10084 | ბურგოსი-ხეტაფე | 5.00 | 2.20 | 1.90 | 1.52 | 1.37 | 1.01 |
| 10085 | გრანადა-ატლეტიკო | 4.90 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10307 | რეინჯერსი-ლიონი | 3.35 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.46 | 1.13 |
| 10308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10310 | რომა-მანჩესტერი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10311 | სპორტინგი-დინამო კ | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10312 | პსვ-ინტერი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10315 | არსენალი-სტიაუა ბქ | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10317 | სლავია-სევილია | 4.30 | 2.00 | 2.20 | 1.36 | 1.45 | 1.04 |
| 10319 | კალიარი-სამპდორია | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10578 | ოსასუნა-მალიორკა | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11083 | ელჩე-ბეტისი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11084 | ბურგოსი-ხეტაფე | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11085 | გრანადა-ატლეტიკო | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11307 | რეინჯერსი-ლიონი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11310 | რომა-მანჩესტერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11311 | სპორტინგი-დინამო კ | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11312 | პსვ-ინტერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11315 | არსენალი-სტიაუა ბქ | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11317 | სლავია-სევილია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11319 | კალიარი-სამპდორია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11578 | ოსასუნა-მალიორკა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12083 | ელჩე-ბეტისი | 1.60 | 2.00 |
| 12084 | ბურგოსი-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 12085 | გრანადა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12307 | რეინჯერსი-ლიონი | 1.60 | 2.00 |
| 12308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 12310 | რომა-მანჩესტერი | 1.80 | 1.80 |
| 12311 | სპორტინგი-დინამო კ | 1.70 | 1.90 |
| 12312 | პსვ-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 1.90 | 1.70 |
| 12315 | არსენალი-სტიაუა ბქ | 2.00 | 1.60 |
| 12317 | სლავია-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12319 | კალიარი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12578 | ოსასუნა-მალიორკა | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13083 | ელჩე-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13084 | ბურგოსი-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13085 | გრანადა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13307 | რეინჯერსი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 13310 | რომა-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13311 | სპორტინგი-დინამო კ | 1.90 | 1.70 |
| 13312 | პსვ-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 1.90 | 1.70 |
| 13315 | არსენალი-სტიაუა ბქ | 1.90 | 1.70 |
| 13317 | სლავია-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13319 | კალიარი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13578 | ოსასუნა-მალიორკა | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.80 | 2.00 |
| 14083 | ელჩე-ბეტისი | 1.95 | 1.85 |
| 14084 | ბურგოსი-ხეტაფე | 2.50 | 1.30 |
| 14085 | გრანადა-ატლეტიკო | 2.40 | 1.45 |
| 14307 | რეინჯერსი-ლიონი | 2.00 | 1.80 |
| 14308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.20 | 2.60 |
| 14310 | რომა-მანჩესტერი | 1.70 | 2.20 |
| 14311 | სპორტინგი-დინამო კ | 1.30 | 2.50 |
| 14312 | პსვ-ინტერი | 1.75 | 2.10 |
| 14317 | სლავია-სევილია | 2.20 | 1.70 |
| 14319 | კალიარი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 14578 | ოსასუნა-მალიორკა | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | ელჩე-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | ბურგოსი-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | გრანადა-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15307 | რეინჯერსი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15310 | რომა-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | სპორტინგი-დინამო კ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | პსვ-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15317 | სლავია-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15319 | კალიარი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15578 | ოსასუნა-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.65 | 2.05 |
| 16083 | ელჩე-ბეტისი | 2.05 | 1.65 |
| 16084 | ბურგოსი-ხეტაფე | 3.60 | 1.23 |
| 16085 | გრანადა-ატლეტიკო | 3.00 | 1.30 |
| 16307 | რეინჯერსი-ლიონი | 2.05 | 1.62 |
| 16308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.11 | 5.70 |
| 16310 | რომა-მანჩესტერი | 1.40 | 2.55 |
| 16311 | სპორტინგი-დინამო კ | 1.22 | 3.40 |
| 16312 | პსვ-ინტერი | 1.50 | 2.30 |
| 16317 | სლავია-სევილია | 2.90 | 1.32 |
| 16319 | კალიარი-სამპდორია | 1.70 | 1.95 |
| 16578 | ოსასუნა-მალიორკა | 1.55 | 2.20 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17083 | ელჩე-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | ბურგოსი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17085 | გრანადა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17307 | რეინჯერსი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17310 | რომა-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17311 | სპორტინგი-დინამო კ | 1.85 | 1.95 |
| 17312 | პსვ-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 1.85 | 1.95 |
| 17315 | არსენალი-სტიაუა ბქ | 1.85 | 1.95 |
| 17317 | სლავია-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17319 | კალიარი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17578 | ოსასუნა-მალიორკა | 1.85 | 1.95 |

# დიდი ავსტრალიელის ფრანგული

## მწუხარე უფრო ალალია: ჯორჯ გრეგანს საქართველო არ ეგონა...

*ჯორჯ მუსარურვა გრეგანი (ავსტრალია)*
*დაიბადა 1973 წლის 19 აპრილს ზამბიის ქალაქ ლუსაკაში*
*სიმაღლე: 173 სმ*
*წონა: 80 კგ*
*ამპლუა: შერკინების გამთამაშებელი (9 ნომერი)*
*დებიუტი ნაკრებში: 1994 წლის 18 ივნისი, ავსტრალია 23:20 იტალია.*
*მსოფლიოს თასზე უთამაშია ოთხჯერ: 1995, 1999, 2003; 2007*
*1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და 2003 წლის ვიცე-ჩემპიონი*
*სულ: 20 მატჩი, 3 ლელო, 1 არეკნი, 18 ქულა*
*საერთო სანაკრებო მონაცარი: 139 მატჩი, 18 ლელო, 3 არეკნი, 99 ქულა, 54-ჯერ უკაპიტნა ნაკრებს*
*2000 და 2001 წლებში მოიგო სამი ერის პირველობა.*
*კლუბები:*
*სიდნეის „რანდვიკი“, (1990-1996)*
*კანბერის „ბრამბიზი“ (1996-2007)*
*136 მატჩი, 117 ქულა*
*„ტულონი“ — 2007*
*ზე-12-ის ორგზის ჩემპიონი:*
*2001 — „ბრამბიზი“,*
*2004 — „ბრამბიზი“*
*მეტსახელი: გრეგსი*



*მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, სამი ერის ორგზის მომგები, ზე-12-ის ორგზის გამარჯვებული! 139 თამაში ავსტრალიის ნაკრებში და ამ მხრივ დამყარებული მსოფლიო რეკორდი!.. მეტი რა უნდა ინატროს მორაგბემ? მაგრამ, როგორც ირკვევა, „ვოლაბების“ და „ბრამბიზის“ ლეგენდარული 9 ნომერი და კაპიტანი ჯორჯ გრეგანი მაინც გულდაწყვეტილი წავიდა დიდი რაგბიდან, რადგან მისმა ავსტრალიამ სულ ახლახან მსოფლიოს თასზე ზედიზედ მეორედ წააგო ჯონი უილკინსონის ინგლისთან და მეორე მარცხი უფრო მტკივნეული გამოდგა მულატი ოზისთვის. 2003 წელს ინგლისს ოცნების გუნდი ჰყავდა, წლეულს კი ჩვენ რომ გვეყოჩაღა, ნახევარფინალისთვის არ უნდა გაგვეცილებინა ეგ გუნდიო, გულმოკლული ამბობს ბებერი ვარსკვლავი.*

*34 წლის გრეგანი ახლა საფრანგეთშია და კლუბ „ტულონს“ ახმარს თავის გამჭრიახ და გამოცდილ ხელს, თამაშობს ძველი მტრების, მასავით ასაკშეპარული სამხრეთელი ვარსკვლავების, ახალზელანდიელების ენდი მერთენსის და ენტონ ოლივერის და სამხრეთაფრიკელი ვიქტორ მეტფილდის მხარდამხარ. და ხომ არ გავიწყდებათ, იქვე, აი, ასეთ კომპანიაშია ვეტერანი ქართველი მორაგბე გია ლაბაძეც. მეტიც, ის „ტულონის“ ერთ-ერთი კაპიტანია და სწორედ გიას დახმარებით შედგა ჩვენი ინტერვიუ ავსტრალიელ ლეგენდასთან*

— ეს თქვენთვის ბოლო მსოფლიოს თასი იყო, ავსტრალიის ნაკრებს კი შანსი ჰქონდა, მესამედ გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ მეოთხედფინალში ინგლისთან წააგეთ. დღევანდელი გადასახედიდან რა იყო ამ წაგების მიზეზი?

— წლევანდელი მსოფლიოს თასი ჩემთვისაც და ჩემი თანაგუნდელებისთვისაც ძალიან დიდი იმედგაცრუება გამოდგა. დასამალი რაა, ჩვენ მინიმუმ ფინალში გასვლას ვგეგმავდით. ვერ ვიტყვი, რომ ინგლისი სათანადოდ არ შევაფასეთ ან მოვდუნდით. პირიქით, ვიცოდით, რომ ჯგუფური ეტაპის შემდეგ მეტოქე საგრძნობლად მოუმატებდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ის არ იყო ჩვენი დღე. ინგლისმა გვაჯობა ბოჭვებში, ერთი ერთზე კონტაქტში, რაქში და მოლში, ბურთს მეტწილად ისინი აკონტროლებდნენ და როდესაც გუნდში ჯონი უილკინსონია, მეტი რაღა უნდა ინატრო. უილკინსონმა, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ურტყა. ჩემი აზრით, ინგლისმა მოულოდნელად მოგვიგო. იმ მატჩის გახსენებაზე ყოველთვის ცუდ ხასიათზე ვდგები, ჩემს კარიერაში ეს ერთ-ერთი უდიდესი იმედგაცრუება იყო...

— მსოფლიოს თასამდე თქვით, რომ მისი დასრულების შემდეგ ნაკრებში აღარ ითამაშებდით, მაგრამ ავსტრალიელი ქომაგის წინ გამოსათხოვარ მატჩსაც აღარ ითამაშებთ?

— ასეთი მატჩი მსოფლიოს თასამდე ვითამაშე სამ ერზე სიდნეიში სამხრეთ აფრიკასთან. მაშინ დავემშვიდობე ავსტრალიელ ფანებს და ნაკრებში დაბრუნებას, თუნდაც ერთი მატჩით, აღარ ვაპირებ.

— ახლა საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობთ. ეს ნიშნავს, რომ ზე-14-შიც დაასრულეთ კარიერა?

— არა, „ტულონთან“ სამთვიანი კონტრაქტი მაკავშირებს, აქ ზამთარში პაუზაა, ჯერჯერობით გადაწყვეტილი მაქვს, რომ ამ პაუზისას ზე-14-ში დავბრუნდე, გაზაფხულზე კი ისევ „ტულონში“ გავაგრძელებ საკლუბო კარიერას. თუმცა გამორიცხული არაა, კონტრაქტი პირდაპირ გავაგრძელო და ზე-14-ში აღარ დავბრუნდე.

— ისევ მსოფლიოს თასს დავუბრუნდეთ. ბევრი მიიჩნევს, რომ საფრანგეთ — ახალი ზელანდიის მეოთხედფინალი ნაადრევი ფინალი იყო. თქვენც ასე ფიქრობთ?

— ამათგან რომელიმე რომ გამხდარიყო ჩემპიონი, ასეც იქნებოდა, მაგრამ თასი სულ სხვამ, სამხრეთ აფრიკამ მოიგო. ასე რომ, საფრანგეთ — ახალი ზელანდიის მეოთხედფინალს ნაადრევი ფინალი არ ეთქმოდა. ასე ალბათ იმიტომ მიიჩნიეს, რომ ახალი ზელანდია გამოკვეთილი ფავორიტი იყო, საფრანგეთი კი ტურნირს მასპინძლობდა და ჩემპიონობის მეტი არაფერი აკმაყოფილებდა. ჩემი აზრით, საფრანგეთმა ჩემპიონ გუნდს მოუგო, მაგრამ მერე რაც დაემართა, თავის თავს უნდა დააბრალოს.

# დრამა ინგლისელი მკვლელით

**— ჩემპიონები გახდნენ სამხრეთაფრიკელები, რომელთა წინააღმდეგ ბევრჯერ გითამაშიათ. როგორ ფიქრობთ, სამხრეთ აფრიკა ღირსეული ჩემპიონია?**

— ზაფხულში სამხრეთ აფრიკას სამ ერზე სამჯერ ვეთამაშეთ. მაშინ უფრო სუსტი იყო, ვიდრე მსოფლიოს თასზე. საფრანგეთში სულ სხვა, დალაგებული, თანაბრად დაკომპლექტებული და მიზანმიმართული გუნდი თამაშობდა. მართალია, „ქურციკებს“ ძალიან გაუმართლათ, როცა ფინალში გამოფიტული ინგლისი შეხვდათ, მაგრამ ეს რა მათი ბრალი იყო. ვფიქრობ, სამხრეთ აფრიკამ დაიმსახურა თასის მოგება. სხვა საქმეა, რა და როგორ იქნებოდა, ფინალში ახალი ზელანდია, საფრანგეთი ან ჩვენ რომ შევხვედროდით. მაგრამ ვერც ერთი ვერ გავედით ფინალში და ამიტომ ახლა ამაზე საუბარი ზედმეტია. თანაც, სამხრეთაფრიკელთა სამწვრთნელო შტაბში იყო ავსტრალიელი ედი ჯონსი, უგამოცდილესი, ძალიან ძლიერი მწვრთნელი. გარდა იმისა, რომ უზადო ტაქტიკოსია, მეტოქის გაშიფვრის უნიკალური ნიჭი აქვს. დარწმუნებული ვარ, ედი ჯონსის რჩევებმა სამხრეთ აფრიკა საფრანგეთში სრულყოფილებას მიაახლოვა.

**— თუმცა ედი ჯონსის მწვრთნელობით 2003 წელს მსოფლიოს თასის ფინალში წააგეთ.**

— მაგრამ ვისთან წავაგეთ?! ინგლისთან, რომელსაც თავისი და მსოფლიოს რაგბის ისტორიაში ალბათ საუკეთესო ნაკრები, მეტიც, ოცნების გუნდი ჰყავდა. ჩვენ მაშინ ნახევარფინალში ტრადიციულად ჩემპიონობისთვის გამზადებულ ახალ ზელანდიას ულაპარაკოდ მოვუგეთ, ფინალში კი დამატებითი დროის ბოლო წუთზე უილკინსონის ფანტასტიკური არეკნით წავაგეთ... მოკლედ, ბოლო ორი მსოფლიოს თასია, უილკინსონი ლამის მარტო გვიგებს, მაგრამ ერთხელაც ვიტყვი: თუ 2003 წლის თასის ფინალის წაგება ასე თუ ისე გადავიტანეთ, ახლა მეოთხედფინალში წაგება ჩვენთვის ტრაგედია იყო.

**— მსოფლიოს წლის საუკეთესო მორაგბედ სამხრეთაფრიკელი ბრაიან ჰაბანა დაასახელეს. ეთანხმებით ამ გადაწყვეტილებას?**

— ჟიურიში საკმაოდ ავტორიტეტული წევრები იყვნენ და რადგან ასე გადაწყვიტეს, ესე იგი, ეჭვი უადგილოა. წლის საუკეთესო მორაგბის წოდება მსოფლიოს თასის ფინალის შედეგზე იყო დამოკიდებული. ინგლისს რომ მოეგო, დარწმუნებული ვარ, საუკეთესოდ ჯონი უილკინსონს დაასახელებდნენ. ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ერთბაშად სამს — ბრაიან ჰაბანას, ჯონი უილკინსონს და არგენტინელ ხუან მარტინ ერნანდესს დავასახელებდი. წლის მორაგბის ტიტული სამივეს ეკუთვნოდა, მაგრამ ჰაბანამ და სამხრეთ აფრიკამ მსოფლიოს თასი მოიგეს და უკონკურენტოდ დარჩნენ.

**— ამ მსოფლიოს თასზე რომელ ნაკრებს მიიჩნევთ აღმოჩენად და პირიქით, თქვენი აზრით, რომელმა ვერ გაამართლა იმედები?**

— პირველ რიგში, ჩვენ, ავსტრალიამ ვერ გავამართლეთ... ირლანდიის უმარილო თამაშიც უსიამოვნო სიურპრიზი იყო. საფრანგეთმაც ჩემპიონობის რეალური შანსი გაუშვა ხელიდან, არადა, უმთავრესი კონკურენტი, ახალი ზელანდია მეოთხედფინალში მოიცილა. აღმოჩენა კი, უდავოდ, საქართველოს ნაკრები იყო. არ მეგონა, ქართველებს ამდენი თუ შეეძლოთ, ფიჯიმაც გამაოცა, რაც მთავარია, მათ სანახაობრივი და უშელავათო რაგბი ითამაშეს.

**— რა განსხვავებაა სამხრეთულ და ჩრდილოურ რაგბის შორის?**

— როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე სხვაობა ერთნაირია. სამი ერის გუნდები, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა ფიზიკური კონდიციებით და კომბინაციურობით სჯობნიან ევროპელებს. ჩემი აზრით, სამხრეთში უფრო ფანტაზიით თამაშობენ და ინდივიდუალობით გამორჩეული გაცილებით მეტი მოთამაშე ჰყავთ. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ თუ ექვსი ერის რომელიმე გრანდს ჩავარდნა ეწყება, სხვებიც მიჰყვებიან ხოლმე, სამხრეთში კი ყოველთვის არის ერთი მძლავრი ნაკრები. ვფიქრობ, სამხრეთული რაგბი განვითარებაში ერთი ნაბიჯით უსწრებს ჩრდილოურს.

**— ზამბიაში დაიბადეთ, ავსტრალიაში გაიზარდეთ და ახლა საფრანგეთში თამაშობთ. როგორ შეეგუეთ უცხო გარემოს?**

— აკლიმატიზაცია და გარემოსთან შეგუება ჩემთვის პრობლემა არ არის. თანაც მსოფლიოს თასისას თვენახევარი მომიწია საფრანგეთში ცხოვრებამ და აქაურობას შევეჩვიე. „ტულონში“ თავს კომფორტულად ვგრძნობ, კლუბის უფროსით დაწყებული, ბაზის უბრალო თანამშრომლით დამთავრებული, ყველა გულისხმიერი და მეგობრულია. გუნდშიც მშვენიერი გარემოა, ყველაფერია საიმისოდ, რათა რაგბი ითამაშო და ამასთან სიამოვნებაც მიიღო.

**— „ტულონის“ ნახევარდაცვაში თქვენი მეწყვილე ახალზელანდიელი ენდრიუ მერთენსია, მწვრთნელი კი ახალზელანდიელივე ლეგენდა ტანა უმაგა. წლების მანძილზე ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშობდით, მოედანზე მტრები იყავით, ახლა დამეგობრდით?**

— არა, ერთმანეთს კიდევ ვჭამთ. ცხადია, ეს ხუმრობით. აქ მთელი გუნდი ვმეგობრობთ, თანაც, რაგბის წესისამებრ, მე და ენდრიუ მერთენსს გასვლითი მატჩისას ერთ ნომერში გვიწევს ცხოვრება და საუკეთესო მეგობრები ვართ. „ტულონში“, რასაც ჰქვია, კაცები თამაშობენ, ერთმანეთს მშვენივრად ვუგებთ. გია ლაბაძეც ჩემი მეგობარია, რომ მითხრა, საქართველოდან ჩემმა მეგობარმა ჟურნალისტმა უნდა დაგირეკოსო, უარის თქმა არც მიფიქრია. გია გუნდის ერთ-ერთი კაპიტანია.

**— წლების მანძილზე მსოფლიოს საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთ საუკეთესო 9 ნომრად ითვლებით. თქვენი აზრით, ვინ არის ყველა დროის საუკეთესო 9 ნომერი?**

— ყველა დროის საუკეთესო მორაგბედ და 9 ნომრად უელსელ გარეს ედვარდს მიიჩნევენ და კარდიფში ძეგლიც კი დაუდგეს. მისი თამაში ვიდეოფირებზე მინახავს და იმ დროისთვის იგი მართლაც საუკეთესო იყო. ვერ გეტყვით, ვინ არის საუკეთესოთა შორის საუკეთესო. ძალიან რთული ასარჩევია. მე ვის წინააღმდეგაც მითამაშია, მათში საუკეთესოები იყვნენ ახალზელანდიელი ჯასტინ მარშალი და ფრანგი ფაბიენ გალტიე. ამ მსოფლიოს თასზე კი არგენტინელმა აგუსტინ პიშომ ითამაშა მაგრად და დღეს საუკეთესო ალბათ ის არის. თანაც პიშო ქარიზმატული მოთამაშეა, გუნდის დამქოქავი.

**— რაგბის გარდა, სპორტის რომელი სახეობის თამაში და ყურება გიყვართ?**

— გოლფს ვთამაშობ და ამით დიდ სიამოვნებას და სიმშვიდეს ვგრძნობ. რაგბი იმდენ ენერგიას მართმევს, რომ სხვა რამისთვის ძალა აღარ მრჩება. ყურებით კი მარტო რაგბის ვუყურებ, ფეხბურთი და კალათბური ვერ დავამულამე.

**ბაჩო სვანიძე**







# NBA რეგულარული ჩემპიონატი

10 დეკემბერი

**ორლანდო 87:98 ატლანტა**

ორლანდო: თურქოღლუ (22), ლუისი (15), ჰოვარდი (14 ქულა, ... ხსნა)
ატლანტა: ა. ჯონსონი (...), ჯ. ჯონსონი (24), მ. უილიამსი (12), სმიტი (25 ქულა, 16 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა, 4 დაფარება), რაიტი (1); შ. უილიამსი (12), პორფელდი (7), ლოუ (2), სტუდემაიერი, ჯონსი, ვესტი

ფაჩულიას არ უთამაშია

**ფინიქსი 113:117 მაიამი**

ფინიქსი: მერიონი (19), სტუდემაიერი (19), ჰილი (19), ბელი (19), ნეში (11 ქულა, 14 პასი)
მაიამი: ვეიდი (31), პასლემი (21 ქულა, 12 მოხსნა), ონილი (18 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ იორკი 89:99 დალასი**

ნიუ იორკი: რენდოლფი (24)
დალასი: ნოვიცკი (31), ჰოვარდი (22)

**ფილადელფია 100:88 ჰიუსტონი**

ფილადელფია: გრინი (20) მილერი (17)
ჰიუსტონი: ველსი (24), ჰედი (18)

**საკრამენტო 96:93 მილუოკი**

საკრამენტო: სალმონსი (22)
მილუოკი: რედი (24)

## ვილაცამ ორლანდოს ბუდეს გადაუფრინა

თუ ასე გააგრძელა ჭენება და ცხენი შუა ჯირითში არ დაუვარდა, „ატლანტა ჰოქსის“ 22 წლის ფორვარდი ჯოშ სმიტი ზედიზედ მეორედ გამოჰკრავს ხელს კვირის საუკეთესო მოთამაშეობას. გასულ კვირაში ის მძლავრი იყო, ახალი დაიწყო და კიდევ უკეთესი გახდა — ორლანდოში იქაური „მეჯიქის“ ძლევაში მან ლომის წილი დაადო, გააკეთა 25 ქულა, სეზონში სარეკორდო 16 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა და 4-იც დაფარება. გადასარევი შედეგია მოთამაშისთვის, რომელიც ბუნების კანონების გათვალისწინებით, გვარიანად უნდა გადაქანცულიყო წინა დღეებში.

მაგრამ რა დაღლილობა, რის გამოფიტულობა, სმიტი ნამდვილი ქორივით დაფრინავდა და ზემოდან ქვასავით წამოსული კლანჭს უყრიდა „ორლანდოს“. დანარჩენი „ქორებიც“ უმოწყალოდ კორტნიდნენ მასპინძლებს, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში ვერ მოვიდნენ გონს და ხალხიც ვერ გაერკვა, ვინ იყო ამ თამაშში ფავორიტი და ვინ განწირული. „ატლანტა“ თამაშის დაწყებიდან 90 წამში რომ დაწინაურდა, ბოლომდე არ ამოასუნთქა აღმოსავლეთის ერთ-ერთი რჩეული გუნდი.

ორლანდოელმა დუაიტ ჰოვარდმა მთლად მკაფიოდ ვერ დაამტკიცა, რომ ნბა-ს საუკეთესო ცენტრი გახლავთ. ატლანტელი ახალბედა ალ ჰორფორდი სულ შვიდი წუთი ეთამაშა მას და ოთხჯერ დაჯარიმდა, მაგრამ თავადაც ხომ სამი პერსონალური აჰკიდა მრისხანე ოპონენტს...

პლეი ოფში დაბრუნებისთვის მებრძოლი „ატლანტასთვის“ ეს გამარჯვება სასახელოც იყო და მნიშვნელოვანიც. „მე რომ ამ გუნდში მოვედი, სულ ვაგებდით. ჩემი პირველი სეზონი 13 მოგებით და 69 წაგებით დავასრულეთ — ამბობს მატჩის გმირი ჯოშ სმიტი — ახლა 10:10 შედეგი გვაქვს და გვინდა, რომ რეგულარულის ბოლოსაც სულ ცოტა 50-პროცენტიანი ბალანსით შევხვდეთ.“

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 17 | 2 | 89,5 |
| ტორონტო | 11 | 10 | 52,4 |
| ნიუ ჯერსი | 9 | 12 | 42,9 |
| ფილადელფია | 8 | 13 | 38,1 |
| ნიუ იორკი | 6 | 14 | 30,0 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 14 | 6 | 70,0 |
| ინდიანა | 10 | 10 | 50,0 |
| კლივლენდი | 9 | 12 | 42,9 |
| მილუოკი | 8 | 12 | 40,0 |
| ჩიკაგო | 6 | 12 | 33,3 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 16 | 6 | 72,7 |
| ვაშინგტონი | 10 | 10 | 50,0 |
| ატლანტა | 10 | 10 | 50,0 |
| შარლოტი | 7 | 12 | 36,8 |
| მაიამი | 6 | 15 | 28,6 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 17 | 3 | 85,0 |
| ნიუ ორლეანი | 14 | 7 | 66,7 |
| დალასი | 14 | 8 | 63,6 |
| ჰიუსტონი | 11 | 11 | 50,0 |
| მემფისი | 6 | 14 | 30,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 13 | 8 | 61,9 |
| დენვერი | 13 | 8 | 61,9 |
| პორტლენდი | 8 | 12 | 40,0 |
| სიეტლი | 5 | 16 | 23,8 |
| მინესოტა | 3 | 15 | 16,7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 16 | 6 | 72,7 |
| ლეიკერსი | 12 | 8 | 60,0 |
| გოლდენ სტეიტი | 11 | 9 | 55,0 |
| საკრამენტო | 8 | 12 | 40,0 |
| კლიპერსი | 7 | 12 | 36,8 |

## კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი

ჯოშ სმიტი (ატლანტა)

### დასავლეთი

ბრენდონ როი (პორტლენდი)





მაჩანჩალა „პორტლენდმა“ გასულ კვირაში სამივე თამაში მოიგო და კვირის რჩეულთა დამსახელებლებს ხელიც არ აუკანკალდათ, ისე აღიარეს დასავლეთის საუკეთესო მოთამაშედ ამ გუნდის ჯეელი მსროლელი ბრენდონ როი.

როი გასული სეზონის საუკეთესო ახალბედაა, თავის მეორე პროფესიულ სეზონში კი „პორტლენდს“ ლიდერად მოევლინა და აგერ, გასულ კვირაში სამიდან სამი თამაშიც მოაგებინა. საჩინოა ამ წარმატებაში მისი წილი — 25,7 ქულა, 7,3 მოხსნა და 3,7 პასი.

აღმოსავლეთში კი საუკეთესოდ დასახელდა „ატლანტაში“ ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელი ჯოშ სმიტი, ვინაც გასული კვირის 4 თამაშში საშუალოდ 22,0 ქულა, 6,3 მოხსნა, 3,3 პასი და 3,3 დაფარება იხვეჭა და „ქორებს“ ზედიზედ სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. მინესოტელებს კარგა ხანს არ დაავიწყდებათ ეს მფრინავი ფორვარდი, რომელმაც მათ შვიდჯერ დაუფარა.

ალენ აივერსონი (დენვერი), ემანუელ ჯინობილი (სან ანტონიო), ბრენდონ როი (პორტლენდი), ჯოშ სმიტი (ატლანტა), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)

**კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია):**
ალენ აივერსონი (დენვერი), ემანუელ ჯინობილი (სან ანტონიო), ბრენდონ როი (პორტლენდი), ჯოშ სმიტი (ატლანტა) დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)






## ფერნანდო ალონსო: ვიცოდი, რაც მინდოდა

*ფერნანდო ალონსო „რენოში“ დაბრუნდა. მსოფლიოს ექსჩემპიონი მეფორმულე თვლის, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ესპანელი „რენოსთან“ ახალი კონტრაქტით წლიურად 42 მილიონ ევროს მიიღებს. მრბოლს მადრიდული „ასი“ გაესაუბრა*

**— „რენოში“ დაბრუნებით ბედნიერი ხართ?**

— დიახ, ძალიან. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ეს დიდი გუნდია და ჩვენ 2005-ში და 2006-ში ერთად გავხდით ჩემპიონები. „რენო“ მნიშვნელოვანი საჯინიბოა, რომელიც ასევე მნიშვნელოვან გუნდებთან თანამშრომლობს და საერთოდ, იცის, გამარჯვებისთვის რა უნდა გააკეთოს.

**— გადაწყვეტილების მიღება დაგიგვიანდათ. რა ხდებოდა ბოლო დღეების განმავლობაში?**

— სიმართლე რომ გითხრათ, ნოემბრის პირველი სამი კვირის განმავლობაში არდადეგებზე ვიყავი და ფორმულა 1 სულ არ მახსოვდა. ახალი გუნდი ერთ კვირაში ავირჩიე. კონტრაქტის გაფორმებაზე ბევრი არ გვიყოყმანია, ორივე მხარემ იცოდა, რაც უნდოდა.

**— თქვენ ხომ სხვა შემოთავაზებებიც გქონდათ...**

— ამ მხრივ განებივრებული ვარ... ფერნანდო ალონსო იმ 22 პილოტს შორისაა, რომელთაც ფორმულა 1-ის მართვის შანსი ხვდათ წილად და ასევე შემიძლია, ერთი ბრძოლისუნარიანი გუნდი დავტოვო და მეორეში გადავიდე. მინდა, სხვა საჯინიბოებს ჩემდამი გამოჩენილი ინტერესისთვის მადლობა ვუთხრა.

**— თქვენმა ტრანსფერმა მართლაც უზარმაზარი დაინტერესება გამოიწვია...**

— დიახ, როდესაც არდადეგებიდან დავბრუნდი, ვნახე, რომ გაზეთები ალონსოს მრავალმხრივ მოლაპარაკებებზე წერდნენ — ყველას ეგონა, ფერნანდო ერთდროულად რამდენიმე საჯინიბოს ეკონტაქტებაო. ლაპარაკობდნენ ერთწლიან კონტრაქტზე, სამწლიან ხელშეკრულებაზე, იმაზე, რომ შეიძლება ერთი წლის განმავლობაში საერთოდ რბოლის გარეშე დავრჩენილიყავი. გამოგიტყდებით, პრესაში ატეხილი ალიაქოთი ძალიან მართობდა.

**— მაგრამ ამავდროულად ხვდებოდით, რომ თქვენი მომავლისადმი გულშემატკივართა ინტერესი ნორმალური მოვლენაა...**

— გულშემატკივრებისა, რა თქმა უნდა, მესმის, მაგრამ პირადად მე რთული გადაწყვეტილება უნდა მიმეღო — გუნდის გამოცვლა შარვლის გამოცვლა ხომ არ არის... დრო იანვარ-თებერვლამდე არ უნდა გამეწელა, თან იმავდროულად არც ზედმეტად უნდა მეჩქარა. ინჩასების კი მადლიერი ვარ. ისინი ყოველთვის მხარში მედგნენ, ცხოვრებაში არ დამავიწყდება, როგორ მქომაგობდნენ მთელი გასული სეზონის მანძილზე. რაც შეეხება მედიას, მათ ვრცელი ასპარეზი აქვთ და სენსაციური ინფორმაციის გავრცელების სურვილით ხშირად ფანტაზიას მიმართავენ...

**— „მაკლარენ-მერსედესში“ გატარებულ სეზონს სადღეისოდ როგორ შეაფასებდით?**

— ძნელია, მთელი წელიწადი რამდენიმე სიტყვით ან ერთი ნიშნით შეაფასო. 2007 ჩემთვის მაინც კარგი წელი იყო, რადგანაც ბრაზილიური გრანპრის დასრულებამდე 20 წრით ადრე ჩემპიონობის შანსს მაინც ვინარჩუნებდი. მერე კი კიმიმ მასას გაუსწრო და ტიტულის მოსაპოვებლად საკმაო ქულებიც მიითვალა. მიუხედავად მესამე ადგილისა, გასული სეზონით მთლად უკმაყოფილო ვერ ვიქნები.

**— და მომავალ წელს რა მოხდება?**

— ეს შეკითხვა ყველას გვაწუხებს, მაგრამ პასუხი ვერ მოგვიძებნია. ფერარისნაირი გუნდები რომ მუდამ ფავორიტებში არიან, მთელმა ქვეყანამ იცის, თუმცა არც იმას გამორიცხავს ვინმე, რომ „ფერარის“ სხვა საჯინიბომ, მაგალითად, „რენომ“ აჯობოს. ახლა ჩემი მიზანია, იანვარში ან თებერვალში ასპროცენტიანად მზად ვიყო, რათა 2008-ში პოდიუმისთვის ვიბრძოლო. გასულ სეზონში ხომ საკმარისზე მეტი სირთულე შემხვდა.

**— 2008 წლისთვის ჩემპიონობას ფიქრობთ?**

— ვნახოთ, რა მოხდება. წინასწარ აურზაურს ნუ ავტეხთ. ახლა მთავარია, იანვარში „რენო R28“-ის საჭეს მივუჯდე და თავდაუზოგავად ვიმუშაო, რათა ავსტრალიური რბოლისთვის მზად ვიყო. შარშანაც მსგავსი გამოწვევა მქონდა და ვფიქრობ, ახლა საქმე უკეთ უნდა წავიდეს.

სნუკერი





მსოფლიოს ჩემპიონები გრემ დოტი და ჯონ ჰიგინსი პირველივე წრეში დამარცხდნენ

# ფუ და ინგლისელები

**ტელფორდული** სენსაციები გრძელდება — თექვსმეტი განთესილიდან მეორე წრეში მხოლოდ ექვსი გავიდა, ცხრა მსოფლიოს ჩემპიონიდან ექვსმა საწყის ეტაპზევე დაასრულა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

მსოფლიოს პირველობის შემდეგ სნუკერისტთა კალენდრის უმნიშვნელოვანესი ტურნირი მოულოდნელობებით დაიწყო და არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები.

ტურნირის მესამე დღის უმთავრესი სენსაცია მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის, შოტლანდიელი ჯონ ჰიგინსის მარცხი იყო. ინგლისელმა ჯეიმი კოუპმა ფანტასტიკური თამაში აჩვენა და სნუკერისტთა რეიტინგის ლიდერი 9:3 გაანადგურა.

მეორე შოტლანდიელმა, რეიტინგის მეორე ნომერმა და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა გრემ დოტმა 3:8 ჩამორჩენა მინიმუმამდე კი შეუმცირა ნაკლებად ცნობილ ინგლისელ დეივ ჰაროლდს, მაგრამ მეტი ველარ შეძლო და 7:9 წააგო. დამარცხდა შარშანდელი სეზონის, ალბათ საუკეთესო მოთამაშე ნილ რობერტსონიც. ავსტრალიელს კიდევ ერთმა ინგლისელმა ჯო პერიმ 9:6 სძლია.

ორი ინგლისელის — ალისტერ კარტერისა და ბარი ჰოუკინსის დუელშიც რეიტინგში დაბლა მყოფმა იძალა — ჰოუკინსმა ბოლო, მე-17 ფრეიმში გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა.

ჰონკონგელმა მარკო ფუმ, ვინც წლეულს შოტლანდიაში გამართულ „დიდ პრიზზე“ იპირველა, ასევე რანგით მაღლა მდგომ უელსელ რაიან დეის 9:6 მოუგო და ისე გამოვიდა, რომ ბადის ქვედა ნახევარში განთესილებიდან მხოლოდ ინგლისელებმა — რონი ოსალივანმა და მარკ სელბიმ დაძლიეს პირველი ბარიერი.

ორივემ თანამემამულეს აჯობა. სელბიმ 9:5 სძლია ენტონი ჰემილტონს, ხოლო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ოსალივანმა მაიკლ ჰოლტი 9:6 დაჯაბნა. უცნაური თამაში იყო. რონი 1:3 აგებდა, შემდეგ ზედიზედ ოთხ ფრეიმში იძალა და 5:3 დაწინაურდა. შემდეგი სამი ფრეიმი, უკვე ჰოლტმა მოიგო და წინაც გავიდა, რასაც ოსალივანის ოთხპარტიანი სერია მოჰყვა. არადა, რონი საზიზღრად თამაშობდა, მაგრამ მეტოქეც კარგი ხვითო შეხვდა, რომელმაც ფავორიტის შეცდომებით ვერ იხეირა.

შედეგად, ბადის ქვედა ნახევარში შემდეგი მერვედფინალური წყვილები მივიღეთ: ჰაროლდი — სელბი, ფუ — პერი, ოსალივანი — მარკ კინგი (ინგლისი) და ჰოუკინსი — კოუპი.

ჭადრაკი

**მსოფლიოს თასი**

**ხანტი-მანსიისკი. რუსეთი. 22 ნოემბერი - 18 დეკემბერი**

**ნახევარფინალი**

ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 2,5:1,5 სერგეი კარიაკინი (უკრაინა)

გატა კამსკი (აშშ) 1,5:0,5 მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარები სახლში. დიდები ფინალში

**გამოცდილმა** გატა კამსკიმ 17 წლის მაგნუს კარლსენი 1,5:0,5 დაამარცხა და ფინალში გავიდა.

პატარა ნორვეგიელმა წინა ეტაპებზე ივან ჩეპარინოვი და მაიკლ ადამსი დაიფრინა, რასაც საკმაო ძალა შეალია და კამსკისთან პაექრობა გაუჭირდა. „მეტოქეები საკმაოდ კარგად იყვნენ მომზადებულები და მათ აგრესილი თამაში შევთავაზე. ჭადრაკი ყოველ დღე ახალგაზრდავდება, ინფორმაციებს ადვილად ვიღებთ და კომპიუტერიც დიდად გვეხმარება. აი, ხომ ხედავთ, ნახევარფინალში ორი 17 წლის დიდოსტატი ვიყავით“ — განაცხადა წაგების შემდეგ კარლსენმა. მის აზრს იზიარებს მისი კბილა სერგეი კარიაკინიც: „კარგი თაობა მოდის, მე და კარლსენმა ტურნირზე ძლიერად ვითამაშეთ და ყველა მოჭადრაკეს ღირსეულად ვეომეთ. რაც შეეხება ჩემს მეტოქე ალექსეი შიროვს, წლეულს მას სამჯერ შევხვდი, სამივეჯერ თეთრებით და ყველა მოვუგე“.

კარიაკინის წარმატებული სერია ხანტი-მანსიისკში შეწყდა. ძირითადი დროის ორივე შეხვედრა ყაიმით დასრულდა, ტაიბრეიკებში კი შიროვმა მესამე პარტია მოიგო და ახლა ფინალს კამსკისთან ითამაშებს.

საინტერესო გამოვიდა კამსკისა და კარლსენის შეხლა. მესამე სვლაზე მეტოქეებმა პაიკები გაცვალეს, ცენტრი მსუბუქ ფიგურებს დაუთმეს და იერიშებს შეუდგნენ. პირველი დარტყმა ნორვეგიელმა განახორციელა, მხედრით კუ გაუცვალა ამერიკელს, შემდეგ ხელმწიფის ფლანგიდან საკუთარი კუ ატაკა და წინ ლაზიერებული გამოაბრძანა. საპასუხოდ კამსკიმ e ზოლზე ეტლები განალაგა, გაცვლებს მიმართა და ნორვეგიელის აგრესია შეასუსტა. ამერიკელმა ხელმწიფის ფლანგიდან პაიკები დაქოქა, კარლსენს სამძიმო გზები მოუსპო და 43-ე სვლაზე პარტია დაასრულებინა.

**ლაშა გეგეჭკორი**

ჩოგბურთი



# კანასი ავსტრალიაში ვერ ჩავა

**არცთუ** დიდი ხნის წინ ვიუწყებოდით, რომ ავსტრალიაში, მომავალი სეზონის პირველ სლემტურნირზე უძლიერესი შემადგენლობა იკრიბება და მელბურნში კაცთა რეიტინგის პირველი ასეულის ყველა წარმომადგენელი იჩოგნავებსო. ჰოდა, ეტყობა გავთვალეთ, რადგანაც ორიოდ დღის წინ ამ სიას ერთი სახელი გამოაკლდა — მაჯის ტრავმის გამო მწვანე კონტინენტზე ჩასვლას ვერ მოახერხებს გილერმო კანასი.

ეს საკმაოდ სერიოზული დანაკლისია, რადგანაც არგენტინელი უკანასკნელ წლებში ჩოგბურთში საკმაოდ დიდ ფიგურად იქცა. ჯერ იყო და წელიწადნახევრის წინ დოპინგის მოხმარებისთვის ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია მოუსაჯეს. კანასი კორტს შარშან თებერვალში დაუბრუნდა და საკმაოდ ხმაურიანადაც, რადგანაც მარტ-აპრილის გასაყარზე აშშ-ს მასტერსებზე ზედიზედ ორჯერ წააქცია როჯერ ფედერერი, რითაც ნამდვილი ფურორი მოახდინა. არგენტინელს არც შემდეგ შეურცხვენია თავი და მთელი სეზონი სტაბილურად მაღალ დონეზე იჩოგნავა, რის გამოც სულ ცოტა დააკლდა წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრად.

თუმც, როგორც ხედავთ, კანასი ვერც 2008 წლის სეზონის დაწყებას შეძლებს ნორმალურად და წლის პირველ დიდ ფორუმს იძულებით გამოაკლდება.

**კახა ლომაყაშვილი**

ჰოკეი

# ჰეიდუკის კვირა



**გასული** კვირის ვარსკვლავებად ცოტ- უცნაური სამეული დაასახელეს. უცნაური იმიტომ, რომ სამიდან ორმა ჩემპიონატი ამაზრზენად დაიწყო და ბევრმა მათ ხაზიც გადაუსვა, ასაკში არიან და მაღალ დონეზე ველარასოდეს ითამაშებენო. ორივე ეს „ულბლო“ ჩეხი გახლავთ — „კოლორადოს“ თავდამსხმელი მილან ჰეიდუკი და „დეტროიტის“ კარის დარაჯი დომინიკ ჰაშეკი. თუმც გასულ შვიდდღეულში ორივემ დაამტკიცა, რომ ძველებური ცეცხლი კიდევ შერჩენიათ.

ჩვენ ჰეიდუკის ამბებით დავიწყოთ, რომელიც პირველ ვარსკვლავად იქცა. ჩეხმა სნაიპერმა წინა კვირაში 9 ქულა (5+4) დააგროვა და აგერ უკვე 7 მატჩია, უქულოდ არ გადის ყინულიდან. ჰეიდუკმა განსაკუთრებით „სენტ ლუისთან“ გაილაღა, როცა ნამდვილი ზეიმი მოიწყო და შესრულებულ ჰეთ თრიქს სამი შედეგიანი გადაცემაც დაურთო, ანუ ერთ შეხვედრაში 6 ქულა დააგროვა.

თავი გამოიჩინა ჰაშეკმაც, რომელიც აქამდე საკმაოდ არადამაჯერებლად თამაშობდა და ამის გამო ლამის ძირითადი მეკარის სტატუსიც დაკარგა. „დომინატორი“ 12-დღიანი (კარიერაში უგრძესი) უქმობის შემდეგ პირველად ყინულზე „მონრეალთან“ გავიდა და ძველებურად დამაჯერებლადაც ითამაშა, რის გამოც მომდევნო ორ მატჩშიც კარებში ის იდგა. ჰაშეკმა სამივე შეხვედრა მოაგებინა თავის „დეტროიტს“, რომლებშიც საშუალოდ მხოლოდ 1,00 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 94,2 პროცენტს იგერიებდა. გარდა ამისა, ჩეხმა ლეგენდამ „მინესოტასთან“ შათაუტიც მიითვალა, რაც მისთვის კარიერაში 77-ე „მშრალი“ მატჩი გამოდგა. ამით „დომინატორმა“ ტონი ესპოზიტოსა და ედ ბელფურს გაუსწრო და ნჰლ-ის ყველა დროის მეკარეებს შორის მერვე ადგილზე აინაცვლა.

მესამე ვარსკვლავად ჰოკეისთვის ეგზოტიკური ქვეყნის წარმომადგენელი, სლოვენიელი ანცე კოპიტარი დაასახელეს. „ლოს ანჯელესის“ ცენტრმა გასული კვირის ოთხ შეხვედრაში რვა ქულა მიითვალა (2+6). გარდა ამისა, 20 წლის სლოვენიელი გუნდის საუკეთესო ბომბარდირია 30 ქულით (13+17).

**კახა ლომაყაშვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

10 დეკემბერი

**კოლუმბუსი 3:4 ანაჰაიმი**

*1:0 1:3 1:0 0:1 (ოვერტაიმში)*

1:0 კლეშლა (14), 1:1 პერი (27), 2:1 ბიჩი (28), 2:2 პერი (34), 2:3 პალსონი (39), 3:3 ჟევდევი (44), 3:4 პრონგერი (64)

**ვაშინგტონი 3:2 ნიუ ჯერსი**

*1:1 2:0 0:1*

0:1 მადენი (6), 1:1 ბექსტრომი (9), 2:1 შულცი (21), 3:1 ლეინგი (39), 3:2 კლარქსონი (43)

**ბუფალო 1:4 ბოსტონი**

*1:3 0:0 0:1*

0:1 სავარი (7), 0:2 აქსელსონი (8), 1:2 შპაჩეკი (17), 1:3 შეფერი (18), 1:4 მეტროპოლიტი (51)

**ტორონტო 6:1 ტამპა**

*0:0 4:1 2:0*

1:0 ბლეიკი (31), 2:0 სუნდინი (33), 3:0 ანტროპოვი (35), 4:0 კილგერი (35), 4:1 უელე (39), 5:1 სტეიჯანი (46), 6:1 კილგერი (53)

**ნეშვილი 1:2 დეტროიტი**

*0:2 1:0 0:0*

0:1 კოპეცკი (8), 0:2 ფილპულა (16), 1:2 ძელინა (40)

**დალასი 5:4 ედმონტონი**

*3:2 1:1 0:1 1:0 (ოვერტაიმში)*

0:1 განიე(5), 1:1 რიბეირო (7), 2:1 ნისკანენი (8), 2:2 პენერი (9), 3:2 მოდანო (10), 3:3 ჟილბერტი (31), 4:3 ზუბოვი (35), 4:4 პორკოფი (51), 5:4 მოროუ (64)

**ლოს ანჯელესი 4:2 ვანკუვერი**

*2:1 1:0 1:1*

1:0 სტიუარტი (4), 1:1 პაიე (8), 2:1 კოპიტარი (10), 3:1 არმსტრონგი (25), 4:1 ბრაუნი (52), 4:2 ედლერი (58)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

## ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ფინიში

### A ჯგუფი

**მარსელი 0:4 ლივერპული**

0:1 ჯერარდი (4), 0:2 ტორესი (11), 0:3 კუიტი (48), 0:4 ბაბელი (90)

მარსელი: მანდანდა, ბონარი, ჟივე (ფატი 45), ჟ. როდრიგესი, ტაივუ, ჩანა, შეირუ (ნასრი 34), ზიანი, ვალბუენა, ზენდენი (ჯ. სისე 46), ნიანგი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ბენაიუნი, ჯერარდი, მასკერანო, კიუელი (აურელიო 67), ფ. ტორესი (ბაბელი 77), კუიტი (ლეივა 86)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: კარაგერი, ჩანა, აურელიო

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

55 000 მაყურებელი

**პორტუ 2:0 ბეშიქთაში**

1:0 გონსალესი (44), 2:0 კვარესმა (62)

პორტუ: ელტონი, ბოსინგვა, პ. ემანუელი, ბ. ალვეში, ფუსილე (მ. ჩები 75), ლ. გონსალესი (ბოლატი 81), პ. ასუნსაო, მეირელეში, სეკტიუი (პოშტიგა 74), კვარესმა, ლ. ლოპესი

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

ბეშიქთაში: რუშთუ, თანდოგანი, ტორამანი, მერჩიმეკი, უზულმეზი, სერდარი, ე. სისე, ტელო (ფ. იგუაინი 84), ილმაზი (იბრაჰიმი 46), მ. დელგადო, დეივსონი

მწვრთნელი: ერთუღრულ სალლამი

გაფრთხილება: კვარესმა, რუშთუ, დეივსონი, იბრაჰიმი

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

40 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 6 | 3 | 2 | 1 | 8:7 | 11 |
| ლივერპული | 6 | 3 | 1 | 2 | 18:5 | 10 |
| მარსელი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ბეშიქთაში | 6 | 2 | 0 | 4 | 4:15 | 6 |

### B ჯგუფი

**შალკე 3:1 რუსენბორგი**

1:0 ასამოა (12), 2:0 რაფინია (19), 2:1 კონე (23), 3:1 კურანი (36)

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, დ. როდრიგესი, ვესტერმანი, ერნსტი, ბაირამოვიჩი, გროსმიულერი, იოზილი (ქოჩიაშვილი 86), ასამოა (პიოვედესი 90), კურანი (ალტინტოპი 88)

მწვრთნელი: მირკო სლომკა

რუსენბორგი: ჰირშფელდი, სტოორი, კვარმე, რისეტი, ბასმა, საპარა, ტეტე, სკიელბრედი, სტრანდი (ტრაორე 61), ი. კონე (ია კონანი 77), ივერსენი

მწვრთნელი: ტრონდ ჰენრიკსენი

გაფრთხილება: კურანი, საპარა, ბორდონი

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

53 000 მაყურებელი

**ჩელსი 0:0 ვალენსია**

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა (ბელეტი 72), ტერი, ბენ ჰაიმი, ბრიჯი, რაიტფილიპსი, ესიენი, ლამპარდი (ჯ. კოული 62), ს. კალუ, შევჩენკო (მაკელელე 46), კ. პიზარო

მწვრთნელი: ავრაამ გრანტი

ვალენსია: კანისარესი, მიგელი (ფერნანდეში 65), ალბიოლი, ელგერა, მორეტი, სანი, მარჩენა, დ. სილვა, ვისენტე (მატა 75), ვილია (არისმენდი 50), მორიენტესი

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

გაფრთხილება: კანისარესი

მსაჯი: გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)

40 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:2 | 12 |
| შალკე | 6 | 2 | 2 | 2 | 5:4 | 8 |
| რუსენბორგი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ვალენსია | 6 | 1 | 2 | 3 | 2:6 | 5 |

### C ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი 3:0 ვერდერი**

1:0 სტოლტიდისი (12), 2:0 კოვაჩევიჩი (70), 3:0 სტოლტიდისი (74)

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, ჟევლაკოვი, ანცასი, პანტოსი, პაცაცოღლუ (მენდრინოსი 24), რ. ლედესმა, სტოლტიდისი, გალეტი (ნუნიესი 85), კოვაჩევიჩი (მითროღლუ 82), ლუა ლუა

მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი

ვერდერი: ვიზე, ფრიცი, ბაუმანი (ტოშიჩი 82), ნალდო, პასანენი, იენსენი, ვრანიეში (ჰუნტი 58), ბოროვსკი, დიეგო, როზენბერგი, სანოგო (უგო ალმეიდა 67)

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: ანცასი, როზენბერგი, იენსენი, მითროღლუ

მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

25 000 მაყურებელი

**რეალი 3:1 ლაციო**

1:0 ბაპტისტა (13), 2:0 რაული (15), 3:0 რობინიო (36), 3:1 პანდევი (80)

რეალი: კასილიასი, ს. რამოსი, კანავარო, პეპე, მარსელო, ჟ. ბაპტისტა, მ. დიარა, სნეიდერი (რობენი 46), რობინიო (გუტი 46), რაული, ვან ნისტელროი (გ. იგუაინი 73)

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

ლაციო: ბალოტა, სკალონი, სივილია, კრიბარი, ძაური, მუდინგაი, კ. ლედესმა (ბარონიო 46), მუტარელი, მეგნი (მანფრედინი 63), პანდევი (მაკინვა 81), როკი

მწვრთნელი: დელიო როსი

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

65 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:9 | 11 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:7 | 11 |
| ვერდერი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:13 | 6 |
| ლაციო | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 | 5 |

# ერთი ფრე და ისიც საიუბილეო



რობინიომ თავისი გოლი „ლაციოსაც" გაუტანა

AFP

„ლივერპული" მერვედფინალში... არა, ამას „გავიდა" არ ჰქვია. იმას, რაც მერსისაიდელებმა ჩაიდინეს, უფრო „შევარდა", „შეიჭრა" ან რაიმე კიდევ უფრო მძაფრი სიტყვა მოუხდებოდა — მარსელის „ველოდრომზე" გამართული A ჯგუფის შეხვედრა სტუმართა შთამბეჭდავი გამარჯვებით, 4:0 დასრულდა.

ანგარიში „წითლების" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა შეხვედრის დასაწყისშივე გახსნა. მართალია, მისი დარტყმული პენალტი ფრანგული გუნდის მეკარემ სტივ მანდანდამ მოიგერია, მაგრამ ჯერარდმა წარმატებით დაამატა. ამ ამბიდან შვიდ წუთში მეორე გოლი ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით ფერნანდო ტორესმა შეაგდო, რასაც, კარების შეცვლის შემდეგ მესამე დირკ კუიტმა მანდანდას უხეირო თამაშის შედეგად დაყოლა, ხოლო მეოთხე გოლი მსაჯის წამატებულ დროში რაიან ბაბელმა გაიტანა.

„მარსელმა", რომელმაც, სხვათაშორის, პირველ წრეში ლივერპულში მოიგო 1:0, შეხვედრა პირველივე წუთებიდან ნერვიულად დაიწყო და ამიერიდან სეზონს უეფას თასზე გააგრძელებს.

ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრაში „პორტუმ" თითო ტაიმში თითო გოლით აჯობა „ბეშიქთაშს" და „ლივერპულის" დარად, ისიც მერვედფინალში მოხვდა. საინტერესოა, რომ ჩემპიონთა ლიგის 2004 წლის გამარჯვებულს ამ შეხვედრაში ქულაც ყოფნიდა. საინტერესო გახლდათ პორტუგალიელთა პირველი გოლი, ლუჩო გონსალესის მიერ შეგდებული, როდესაც „ბეშიქთაშის" დაცვამ, კერძოდ კი მისმა მეკარემ, ცნობილმა რუშთუმ კარის ბოლო წამამდე დაცვის ნაცვლად გაჩერება და თანამსაჯისთვის ხელის აწევა ამჯობინა.

B ჯგუფში ბოლო ტურს „ჩელსი" უკვე მერვედფინალისტის რანგში შეხვდა. ლონდონელებმა „ვალენსიას" უმასპინძლეს და 0:0 ითამაშეს, რაც ამ გუნდის ზედიზედ 50-ე წაუგებელი საშინაო მატჩი გამოდგა. ასე და ამგვარად, „ლურჯებს" 2006 წლის თებერვლის შემდეგ შინ თამაში არ წაუგიათ, „ვალენსიას" კი წუხელ საშინლად არ გაუმართლა — ესპანელები მესამე ადგილზე გასვლას და სეზონის უეფას თასზე გაგრძელებას მაინც მოახერხებდნენ, პარალელურ შეხვედრაში „შალკეს" „რუსენბორგისთვის" 3:1 რომ არ მოეგო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე ჩაეხვა და ჩატრიალდა, რომ მეორეზე გელზენკირხენელები გავიდნენ, მესამეზე კი ნორვეგიელები ქალაქ ტრონჰეიმიდან. ისე კი, „ვალენსიამ" ასეთი წარუმატებლობა საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. „ჩელსისთან" შეხვედრაში მას ღირებული არაფერი შეუქმნია, ლონდონელებს კი იცოცხლე, თამაშის მოგება შეეძლოთ.

ხოლო „შალკესა" და „რუსენბორგის" შეხვედრის ბოლო წუთებში, გერმანული გუნდის შემადგენლობაში მოედანზე ლევან კობიაშვილი შევიდა. სხვა სიტყვებით, ქართველ გულშემატკივარს ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველის გამოჯანმრთელებას ვულოცავთ.

და ბოლოს C ჯგუფი, სადაც „რეალმა" „ლაციოს" გადაურბინ-გადმოურბინა — „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ ანგარიში უკვე 2:0 იყო.

„ოლიმპიაკოსმა" ასევე შთამბეჭდავად გაიმარჯვა — „ვერდერს" 3:0 აჯობა და უეფას თასზე გაუშვა.

**პაპუნა ძიძია**

## ინგლისი

**ჩემპიონატი**
**გადადებული მატჩები**

ბლექპული 0:1 კარდიფი

ბარნლი 0:2 ქუინზ პარკი

იფსვიჩი 3:1 ლესტერი

**ასოციაციის თასი**
**II ეტაპი. გადათამაშება**

ბარნეტი 1:0 გარტონი

ჩეისთაუნი 1:0 პორტ ვეილი

ლუთონი 1:0 ნოტინგემი

საუთენდი 3:0 ოქსფორდი

უოლსოლი 1:0 ნორთჰემპტონი

## იტალია

**თასის 1/8 ფინალი**
**I მატჩი**

ასკოლი 1:1 ფიორენტინა

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩი**

დორტმუნდი (მ) 1:0 ბაბელსბერგი

## შოტლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

სელტიკი 4:0 ფოლკირკი

## პოლონეთი

**ლიგის თასი**
**VI ტური. D ჯგუფი**

სოსნოვიცი 3:0 ბელხატუვი

## ამხანაგური მატჩი

ომანი 0:3 იორდანია

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. XVI ტური**

**ფრაიბურგი 1:3 გლადბახი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლადბახი | 16 | 10 | 5 | 1 | 35:17 | 35 |
| მაინცი | 16 | 9 | 4 | 3 | 31:15 | 31 |
| ფრაიბურგი | 16 | 8 | 5 | 3 | 25:18 | 29 |
| კიოლნი | 16 | 8 | 3 | 5 | 30:22 | 27 |
| ფიურტი | 16 | 7 | 5 | 4 | 25:20 | 26 |
| მიუნხენი | 16 | 6 | 7 | 3 | 24:18 | 25 |
| ვეჰენი | 16 | 5 | 7 | 4 | 24:24 | 22 |
| ჰოფენჰაიმი | 16 | 5 | 7 | 4 | 23:23 | 22 |
| კობლენცი | 16 | 5 | 6 | 5 | 21:25 | 21 |
| ალემანია | 16 | 5 | 5 | 6 | 22:23 | 20 |
| ზანქტ პაული | 16 | 5 | 4 | 7 | 19:24 | 19 |
| ოსნაბრიუკი | 16 | 5 | 4 | 7 | 22:29 | 19 |
| აუგსბურგი | 16 | 4 | 5 | 7 | 21:27 | 17 |
| ოფენბახი | 16 | 4 | 5 | 7 | 14:26 | 17 |
| აუე | 16 | 4 | 4 | 8 | 21:25 | 16 |
| ლაუტერნი | 16 | 3 | 6 | 7 | 16:19 | 15 |
| კარლ ცაისი | 16 | 3 | 4 | 9 | 22:31 | 13 |
| პადერბორნი | 16 | 1 | 8 | 7 | 9:18 | 11 |

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. XVIII ტური**

**ლე ავრი 0:0 მონპელიე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 18 | 11 | 5 | 2 | 30:14 | 38 |
| ლე ავრი | 18 | 10 | 6 | 2 | 33:17 | 36 |
| კლერმონი | 18 | 7 | 9 | 2 | 29:19 | 30 |
| ბასტია | 18 | 8 | 5 | 5 | 26:19 | 29 |
| ტრუა | 18 | 7 | 8 | 3 | 25:18 | 29 |
| გრენობლი | 18 | 8 | 5 | 5 | 23:17 | 29 |
| ანჟერი | 18 | 8 | 5 | 5 | 20:17 | 29 |
| აიაჩო | 18 | 7 | 5 | 6 | 20:20 | 26 |
| ბრესტი | 18 | 7 | 5 | 6 | 18:19 | 26 |
| მონპელიე | 18 | 6 | 7 | 5 | 19:16 | 25 |
| სედანი | 18 | 5 | 8 | 5 | 21:21 | 23 |
| ბულონი | 18 | 6 | 5 | 7 | 23:26 | 23 |
| ნიორი | 18 | 6 | 4 | 8 | 18:19 | 22 |
| რეიმსი | 18 | 6 | 3 | 9 | 19:29 | 21 |
| შატორუ | 18 | 4 | 7 | 7 | 18:22 | 19 |
| დიჟონი | 18 | 4 | 7 | 7 | 13:25 | 19 |
| გენგამი | 18 | 4 | 6 | 8 | 15:19 | 18 |
| ამიენი | 18 | 3 | 6 | 9 | 16:26 | 15 |
| ლიბურნი | 18 | 3 | 4 | 11 | 22:35 | 13 |
| გენიონი | 18 | 2 | 6 | 10 | 18:28 | 12 |

## ჩეხეთი

**გამბრინუს ლიგა. XVI ტური**

**სპარტა 3:1 პლზენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 16 | 10 | 5 | 1 | 26:9 | 35 |
| სპარტა | 16 | 9 | 3 | 4 | 29:15 | 30 |
| ტეპლიცე | 16 | 9 | 3 | 4 | 24:13 | 30 |
| ბანიკი | 16 | 7 | 6 | 3 | 24:17 | 27 |
| ბრნო | 16 | 7 | 5 | 4 | 26:22 | 26 |
| პლზენი | 16 | 7 | 4 | 5 | 17:16 | 25 |
| ზლინი | 16 | 6 | 5 | 5 | 16:18 | 23 |
| ბუდეიოვიცე | 16 | 6 | 4 | 6 | 21:20 | 22 |
| სიგმა | 16 | 4 | 8 | 4 | 10:13 | 20 |
| ბოლესლავი | 16 | 4 | 7 | 5 | 18:18 | 19 |
| ლიბერეცი | 16 | 4 | 5 | 7 | 13:17 | 17 |
| კლადნო | 16 | 4 | 4 | 8 | 22:28 | 16 |
| ჟიჟკოვი | 16 | 4 | 4 | 8 | 21:29 | 16 |
| იაბლონეცი | 16 | 3 | 5 | 8 | 10:17 | 14 |
| ბოჰემიანსი | 16 | 3 | 4 | 9 | 9:21 | 13 |
| მოსტი | 16 | 2 | 6 | 8 | 19:32 | 12 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კახა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი მიხეილ გასაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
სარეკლამო სამსახური: შალვა ციხელაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge